585/
1993/2

ეროვნული
ბიბლიოთეკა

1993

№ 5

საქართველოს პარლამენტის

უწყებები

თბილისი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს პარლამენტის

ფოცებები

№ 5 (622) მარტი 1993 წელი

შ ი ნ ა ა რ ს ი

განყოფილება პირველი

33. საქართველოს პარლამენტის დადგენილება ნუგზარ კაკიაშვილისათვის პარლამენტის წევრის უფლებამოსილების შეწყვეტის შესახებ.

4. საქართველოს პარლამენტის დადგენილება საქართველოს პარლამენტის საშანდატო, საპარლამენტო ეთიკისა და პრივილეგიების კომისიის შემადგენლობაში ცვლილების შესახებ.

საქართველოს პარლამენტის დადგენილება სახელმწიფო ნაკრძალებისა და საბონადირეო მეურნეობების შესახებ.

საქართველოს პარლამენტის დადგენილება „დედის დღის“ დაწესების შესახებ.

. საქართველოს რესპუბლიკის კანონი საქართველოს რესპუბლიკის შრომის კანონთა კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ.

38. საქართველოს პარლამენტის დადგენილება ყოფილ სამხედრო-სამრეწველო კომპლექსში შემავალი სამეცნიერო-საწარმოო და საწარმოო გაერთიანებების, ქარხნებისა და სხვა საწარმოების მთლიანი და ნაწილობრივი პრივატიზაციის წესის შესახებ.

39. საქართველოს პარლამენტის დადგენილება უკანონო შეიარაღებულ ფორმირებათა შესახებ.

40. საქართველოს პარლამენტის დადგენილება გალისა და გულრიფშის რაიონების ტერიტორიაზე სამხედრო მდგომარეობის გამოცხადების შესახებ.

41. საქართველოს პარლამენტის დადგენილება პეტრე ჩხეიძის გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში საქართველოს რესპუბლიკის მუდმივ წარმომადგენლად და ამერიკის შეერთებულ შტატებში საქართველოს რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიან ელჩად დანიშვნის შესახებ.

42. საქართველოს პარლამენტის დადგენილება საქართველოს პარლამენტის საგარეო საქმეთა კომისიის შემადგენლობაში ცვლილების შესახებ.

43. საქართველოს პარლამენტის დადგენილება „საქართველოს რესპუბლიკაში რუსეთის ფედერაციის უზენაესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს თავმჯდომარის რ. გ. აბდულატიპოვის და რუსეთის ფედერაციის მთავრობის თავმჯდომარის მოადგილის ს. მ. შახრაის 1993 წლის 18 თებერვლის სამუშაო ვიზიტის შედეგების შესახებ“ კომუნიკეს თაობაზე.

44. საქართველოს პარლამენტის დადგენილება საქართველოს საპარლამენტო ჯგუფების სხვა ქვეყნებში მივლინების წესის შესახებ.

45. საქართველოს პარლამენტის დადგენილება საქართველოსა და თურქეთის რესპუბლიკებს შორის თანამშრომლობის ხელშემწყობი საპარლამენტო ჯგუფის შექმნის შესახებ.

46. საქართველოს პარლამენტის დადგენილება „თანამედროვე ეტაპზე რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის საკითხების შესახებ“ დებატების თაობაზე.

47. საქართველოს პარლამენტის დადგენილება „საქართველოს მოქალაქეობის შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის კანონის თაობაზე.

48. საქართველოს პარლამენტის დადგენილება „გაჭუჭყიანებისაგან შავი ზღვის დაცვის კონვენციის“ შესახებ.

49. გაჭუჭყიანებისაგან შავი ზღვის დაცვის კონვენცია.

50. საქართველოს პარლამენტის დადგენილება საქართველოს პარლამენტის ხელისუფლებისა და მმართველობის ცენტრალურ და ადგილობრივ ორგანოთა რეფორმებისა და აგრარული კომისიების შემადგენლობაში ცვლილების შესახებ.

51. საქართველოს პარლამენტის დადგენილება „საქართველოს რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსში დამატების შეტანის შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის კანონის პროექტის გამარტივებული პროცედურით კენჭისყრის თაობაზე.

52. საქართველოს რესპუბლიკის კანონი საქართველოს რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსში დამატების შეტანის შესახებ.

53. საქართველოს რესპუბლიკის კანონი საქართველოს რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსში დამატებების შეტანის შესახებ.

54. საქართველოს პარლამენტის დადგენილება საქართველოს პარლამენტსა და რუსეთის ფედერაციული რესპუბლიკის უზენაეს საბჭოს შორის თანამშრომლობის ხელშემწყობი საპარლამენტო ჯგუფის შექმნის შესახებ.

55. საქართველოს პარლამენტის დადგენილება პარტიული სიით არჩეული გამოკლებული დეპუტატის ადგილმონაცვლის უფლებამოსილების ცნობის შესახებ.

56. საქართველოს პარლამენტის დადგენილება სამანდატო, საპარლამენტო ეთიკისა და პრივილეგიების კომისიის შემადგენლობაში ცვლილების შესახებ.

57. საქართველოს პარლამენტის დადგენილება საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1993 წლის 26 თებერვლის № 171 დადგენილების თაობაზე.

58. საქართველოს პარლამენტის დადგენილება საპარლამენტო ფრაქციის — „პროგრესი — ბედნიერი საქართველო" რეგისტრაციის გაუქმების შესახებ.

59. საქართველოს პარლამენტის დადგენილება საპარლამენტო ფრაქცია „მიწათმოქმედის" რეგისტრაციის შესახებ.

60. საქართველოს პარლამენტის დადგენილება — გაერთიანებული ერების ორგანიზაციის, ევროპარლამენტის, მსოფლიოს ქვეყნების პარლამენტების, რუსეთის ფედერაციის უზენაესი საბჭოსადმი საქართველოს პარლამენტის მიმართვის შესახებ.

61. საქართველოს პარლამენტის დადგენილება ვალერიან ადვაძის რუსეთის ფედერაციაში საქართველოს რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიან ელჩად დანიშვნის შესახებ.

62. საქართველოს პარლამენტის დადგენილება სომხეთის რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს 1993 წლის 23 თებერვლის განცხადების შესახებ.

63. საქართველოს პარლამენტის დადგენილება სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისიის შემადგენლობის თაობაზე.

64. საქართველოს პარლამენტის დადგენილება სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისიის უფლებამოსილებისა და მისი საქმიანობის უზრუნველყოფის თაობაზე.

65. სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისიის დებულება.

66. საქართველოს რესპუბლიკის კანონი საქართველოს მოქალაქეობის შესახებ.

67. საქართველოს პარლამენტის დადგენილება საქართველოს მოქალაქის დეკლარაციის ტექსტის შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა
40371
საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

68. საქართველოს პარლამენტის დადგენილება საქართველოს მოქალაქეობის შესახებ კანონის სამოქმედოდ შემოღების თაობაზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

69. საქართველოს პარლამენტის დადგენილება „საქართველოს რესპუბლიკისა და თურქეთის რესპუბლიკის მეგობრობის, თანამშრომლობისა და კეთილმეზობლური ურთიერთობის ხელშეკრულების“ რატიფიკაციის შესახებ.

70. საქართველოს რესპუბლიკასა და თურქეთის რესპუბლიკის მეგობრობის, თანამშრომლობისა და კეთილმეზობლური ურთიერთობის ხელშეკრულება.

71. საქართველოს პარლამენტის დადგენილება საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე მიმოქცევაში საქართველოს რესპუბლიკის კუპონების შემოღების შესახებ.

72. საქართველოს პარლამენტის დადგენილება „საბიუჯეტო სისტემისა და უფლებების შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის კანონის პროექტისათვის გამარტივებული პროცედურით კენჭისყრის თაობაზე.

73. საქართველოს რესპუბლიკის კანონი საბიუჯეტო სისტემისა და უფლებების შესახებ.

74. საქართველოს პარლამენტის დადგენილება საბიუჯეტო სისტემისა და უფლებების შესახებ საქართველოს რესპუბლიკის კანონის სამოქმედოდ შემოღების თაობაზე.

75. საქართველოს პარლამენტის დადგენილება „სამობილიზაციო მზადყოფნის ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის ინფორმაციის თაობაზე.

76. საქართველოს პარლამენტის დადგენილება აფხაზეთის საკითხთა დროებითი კომისიის შემადგენლობაში ცვლილების შესახებ.

განყოფილება მეორე

77. საქართველოს პარლამენტის სპიკერის ბრძანება საქართველოს რესპუბლიკაში პარლამენტის წარმომადგენლობის დებულების შესახებ.

78. საქართველოს რესპუბლიკაში პარლამენტის წარმომადგენლობის დებულება.

79. საქართველოს პარლამენტის მიმართვა რუსეთის ფედერაციის უმაღლეს საბჭოს, რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტს ბატონ ბორის ელცინს.

80. საქართველოს პარლამენტის მიმართვა გაერთიანებული ერების ორგანიზაციას, ევროპარლამენტს, მსოფლიოს ქვეყნების პარლამენტებს, რუსეთის ფედერაციის უზენაეს საბჭოს.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

განკოფილება პირველი

საქართველოს პარლამენტის დადგენილება

33 ნუგზარ კაკიაშვილისათვის პარლამენტის წევრის უფლებამოსილების შეწყვეტის შესახებ

საქართველოს პარლამენტი **ადგენს:**

1. შეუწყდეს ნუგზარ **კაკიაშვილს** პარლამენტის წევრის უფლებამოსილება ლაგოდეხის რაიონის გამგეობის თავმჯდომარედ მის დანიშვნასთან დაკავშირებით.

2. წინადადება მიეცეს საქართველოს რესპუბლიკის ცენტრალურ საარჩევნო კომისიას დანიშნოს პარლამენტში ლაგოდეხის დეპუტატის არჩევნები.

საქართველოს პარლამენტის სპიკერი ვახტანგ გოგუაძე.

თბილისი, 1993 წლის 2 მარტი.

საქართველოს პარლამენტის დადგენილება

34 საქართველოს პარლამენტის სამანდატო, საპარლამენტო ეთიკისა და პრივილეგიების კომისიის შემადგენლობაში ცვლილების შესახებ

საქართველოს პარლამენტი **ადგენს:**

არჩეულ იქნეს პარლამენტის წევრი ბესარიონ **ფაჩუაშვილი** სამანდატო, საპარლამენტო ეთიკისა და პრივილეგიების კომისიის შემადგენლობაში.

საქართველოს პარლამენტის სპიკერი ვახტანგ გოგუაძე.

თბილისი, 1993 წლის 2 მარტი.

35 სახელმწიფო ნაკრძალებისა და სამონადირეო მეურნეობების შესახებ

ითვალისწინებს რა პარლამენტის ფრაქცია „რესპუბლიკელების“ წინადადებას და გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების კომისიის გადაწყვეტილებას, საქართველოს ბუნებრივი სიმდიდრის დაცვის მიზნით, საქართველოს პარლამენტი **ადგენს:**

1. დაევალოს პარლამენტის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების კომისიას შეისწავლოს სახელმწიფო ნაკრძალებისა და სამონადირეო მეურნეობებისათვის დადგენილი რეჟიმის დაცვის მდგომარეობა.

2. დაევალოს საქართველოს რესპუბლიკის კონტროლის პალატას შეამოწმოს სახელმწიფო ნაკრძალებისა და სამონადირეო მეურნეობების საქმიანობა.

3. აიკრძალოს პარლამენტის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების კომისიის თანხმობის გარეშე სახელმწიფო ნაკრძალებისა და სამონადირეო მეურნეობების სტატუსისა და დადგენილი რეჟიმის შეცვლა.

საქართველოს პარლამენტის სპიკერი ვახტანგ გოგუაძე.

თბილისი, 1993 წლის 2 მარტი.

36 „დედის დღის“ დაწესების შესახებ

საქართველოს დემოგრაფიული საზოგადოების წინადადების გათვალისწინებით საქართველოს პარლამენტი **ადგენს:**

1. დაწესდეს „დედის დღე“.

2. „დედის დღე“ აღინიშნოს ყოველი წლის 3 მარტს და გამოცხადდეს უქმე დღედ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება ძალაშია მიღებისთანავე.

საქართველოს პარლამენტის სპიკერის მოადგილე რუსუდან ბერიძე.

თბილისი, 1993 წლის 2 მარტი.

საქართველოს რესპუბლიკის კანონი

37 საქართველოს რესპუბლიკის შრომის კანონთა კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს პარლამენტი **ადგენს:**

1. საქართველოს რესპუბლიკის შრომის კანონთა კოდექსის 64-ე მუხლის პირველი ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„საწარმოები, დაწესებულებები, ორგანიზაციები არ მუშაობენ შემდეგ უქმე დღეებში:

1 იანვარს — ახალ წელს;

7 იანვარს — უფლისა ღვთისა და მაცხოვრისა ჩვენისა იესო ქრისტეს შობის დღეს;

19 იანვარს — ნათლისღებას — უფლისა ჩვენისა იესო ქრისტეს განცხადების დღეს;

3 მარტს — დედის დღეს;

უფლისა ღვთისა და მაცხოვრისა ჩვენისა იესო ქრისტეს ბრწყინვალე აღდგომის დღეს (თარიღი გარდამავალია);

მიცვალებულთა მოხსენიების დღეს (აღდგომის მეორე დღე, თარიღი გარდამავალია);

26 მაისს — საქართველოს სახელმწიფოებრიობის აღდგენის დღეს;

28 აგვისტოს — ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის მიძინების დღეს (მარიამობას);

14 ოქტომბერს — მცხეთობის (სვეტიცხოვლის, კვართის დღესასწაულის) დღეს;

23 ნოემბერს — გიორგობის დღეს".

2. ეს კანონი ძალაშია მიღებისთანავე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე —
სახელმწიფოს მეთაური **ედუარდ შევარდნაძე.**

საქართველოს პარლამენტის
სპიკერი **ვახტანგ გოგუაძე.**

თბილისი, 1993 წლის 2 მარტი.

საქართველოს პარლამენტის დადგენილება

38 ყოფილ სამხედრო-სამრეწველო კომპლექსში შემავალი სამეცნიერო-საწარმოო და საწარმოო გაერთიანებების, ქარხნებისა და სხვა საწარმოების მთლიანი და ნაწილობრივი პრივატიზაციის წესის შესახებ

ითვალისწინებს რა, რომ ყოფილი სამხედრო-სამრეწველო კომპლექსის სამეცნიერო-საწარმოო და საწარმოო გაერთიანებების, ქარხნებისა და სხვა საწარმოების პრივატიზაციის პროცესში საწარმოო სიმძლავრეები გადადის დარგებში, სადაც ისინი სრული ეკონომიკური ეფექტიანობით ვერ გამოიყენება, ზოგჯერ კი იყიდება საზღვარგარეთ ან იძარცვება, საქართველოს პარლამენტი **ადგენს:**

1. ყოფილი სამხედრო-სამრეწველო კომპლექსის სამეცნიერო-საწარმოო და საწარმოო გაერთიანებების, ქარხნებისა და სხვა საწარმოების მთლიანი ან ნაწილობრივი პრივატიზაცია ნებადართულ იქნეს მხოლოდ საექსპერტო კომისიების იმ დასკვნის საფუძველზე, რომ საპრივატიზაციო ობიექტი ან მისი ნაწილი არ შეიცავს საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვის პოტენციალს.

2. საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის სამხედრო-სამრეწველო კომისიას დაევალოს საექსპერტო კომისიების შექმნა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს პარლამენტის სპიკერის მოადგილე რუსუდან ბერიძე.

თბილისი, 1993 წლის 2 მარტი.

საქართველოს პარლამენტის დადგენილება

39 უკანონო შეიარაღებულ ფორმირებათა შესახებ

საქართველოს პარლამენტი, რომელმაც განიხილა დეპუტატთა ჯგუფის მიმართვა რესპუბლიკაში უკანონო შეიარაღებულ ფორმირებათა თაობაზე, აღნიშნავს, რომ უხეშად ირღვევა „საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვის შესახებ“ კანონის მოთხოვნები. ქვეყანაში გამეფებულ პოლიტიკურ კრიზისს, ეკონომიკურ ქაოსს, სოციალურ დაძაბულობას მნიშვნელოვნად აღრმავებს ცალკეულ შეიარაღებულ პირთა, ჯგუფების, გაერთიანებების არსებობა და მოქმედება, რაც ხელს უწყობს კრიმინოგენული მდგომარეობის უკიდურეს გამწვავებას, სამართლებრივ ნიჰილიზმსა და უიმედობას ბადებს მოსახლეობის ფართო მასებში, ამცირებს სახელმწიფო ხელისუფლების მარეგულირებელ როლს ქვეყნის მართვა-გამგეობის საქმეში.

არსებული ვითარება სერიოზულ წინააღმდეგობას უქმნის ერთიანი შეიარაღებული ძალების ჩამოყალიბებას, ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის განმტკიცებას, ხელს უწყობს დესტრუქციული ძალების მოქმედებას.

საქართველოს პარლამენტი **ადგენს:**

1. არადამაკმაყოფილებლად ჩაითვალოს „საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვის შესახებ“ კანონის მოთხოვნათა შესასრუ-

ლებლად, არასახელმწიფოებრივ შეიარაღებულ ფორმირებათა დაშლისათვის დღემდე გაწეული მუშაობა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

2. დაუშვებლად იქნეს მიჩნეული, როგორც კანონსაწინააღმდეგო, ყოველგვარ პარტიულ, საზოგადოებრივ, ჯგუფობრივ თუ ტერიტორიულ შეიარაღებულ ფორმირებათა არსებობა, აგრეთვე ხელისუფლებისა და მმართველობის ორგანოს ნებისმიერი თანამდებობის პირის მოქმედება, რომლის მიზანი იქნება რაიმე სახის შეიარაღებული ფორმირებისა თუ დროებითი სამხედრო დაჯგუფების შექმნა საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევების გარდა.

3. საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვის სამინისტრომ (თ. კიტოვანი), შინაგან საქმეთა სამინისტრომ (თ. ხაჩიშვილი), სადაზვერვო-საინფორმაციო სამსახურმა (ი. ბათიაშვილი) და პროკურატურამ (თ. ნინიძე) 10 დღეში წარმოუდგინონ პარლამენტს ანგარიში „საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვის შესახებ“ კანონის შესრულების თაობაზე და იმ უკანონო ფორმირებათა ნუსხა, რომლებიც აღნიშნული კანონის შესაბამისად უნდა დაიშალონ.

4. „საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვის შესახებ“ კანონის, ამ დადგენილების შესრულების, ჩამორთმეული საბრძოლო იარაღისა და ტექნიკის ქვეყნის შეიარაღებული ძალების განკარგულებაში გადაცემის კონტროლი დაევალოთ საქართველოს პარლამენტის თავდაცვისა და ეროვნული უშიშროების, მართლწესრიგისა და კანონიერების დაცვის კომისიებს.

საქართველოს პარლამენტის სპიკერი ვახტანგ გოგუაძე.

თბილისი, 1993 წლის 2 მარტი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს პარლამენტის დადგენილება

40 გალისა და გულრიფშის რაიონების ტერიტორიაზე სამხედრო მდგომარეობის გამოცხადების შესახებ

საქართველოს პარლამენტი **ადგენს:**

დამტკიცდეს სახელმწიფოს მეთაურის ედუარდ შევარდნაძის 1993 წლის 3 მარტის ბრძანებულება იმის თაობაზე, რომ სოხუმისა და ოჩამჩირის ზონაში ადრე გამოცხადებულ სამხედრო მდგომარეობასთან ერთად სამხედრო მდგომარეობა გამოცხადდეს აგრეთვე გალისა და გულრიფშის რაიონების ტერიტორიაზე.

საქართველოს პარლამენტის სპიკერი ვახტანგ გოგუაძე.

თბილისი, 1993 წლის 4 მარტი.

საქართველოს პარლამენტის დადგენილება

41 პეტრე ჩხეიძის გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში საქართველოს რესპუბლიკის მუდმივ წარმომადგენლად და ამერიკის შეერთებულ შტატებში საქართველოს რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიან ელჩად დანიშვნის შესახებ

საქართველოს პარლამენტი **ადგენს:**

თანხმობა მიეცეს საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფოს მეთაურს დანიშნოს პეტრე ჩხეიძე საქართველოს რესპუბლიკის მუდმივ წარმომადგენლად გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში და საქართველოს რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიან ელჩად ამერიკის შეერთებულ შტატებში.

საქართველოს პარლამენტის სპიკერი ვახტანგ გოგუაძე.

თბილისი, 1993 წლის 4 მარტი.

42 საქართველოს პარლამენტის საგარეო საქმეთა კომისიის შემადგენლობაში ცვლილების შესახებ

საქართველოს პარლამენტი **ადგენს:**

არჩეულ იქნეს პარლამენტის წევრი გოდერძი **ველიჯანაშვილი** საქართველოს პარლამენტის საგარეო საქმეთა კომისიის წევრად.

საქართველოს პარლამენტის სპიკერი ვახტანგ გოგუაძე.

თბილისი, 1993 წლის 4 მარტი.

43 „საქართველოს რესპუბლიკაში რუსეთის ფედერაციის უზენაესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს თავმჯდომარის რ. გ. აბდულატიპოვის და რუსეთის ფედერაციის მთავრობის თავმჯდომარის მოადგილის ს. მ. შახრაის 1993 წლის 18 თებერვლის სამუშაო ვიზიტის შედეგების შესახებ“ კომუნიკეს თაობაზე

განიხილა რა კომუნიკე „საქართველოს რესპუბლიკაში რუსეთის ფედერაციის უზენაესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს თავმჯდომარის რ. გ. აბდულატიპოვისა და რუსეთის ფედერაციის მთავრობის თავმჯდომარის მოადგილის ს. მ. შახრაის 1993 წლის 18 თებერვლის სამუშაო ვიზიტის შედეგების შესახებ“, საქართველოს პარლამენტი **ადგენს:**

1. უარყოფითად შეფასდეს მთელ რიგ საკითხებში საქართველოს დელეგაციის პოზიცია რუსეთის ფედერაციის დელეგაციასთან გამართულ მოლაპარაკებაზე, რაც აისახა ერთობლივ კომუნიკეში.

2. მიუღებლად ჩაითვალოს კომუნიკეში ორაზროვან დებულებათა არსებობა მოსკოვში რუსეთ-საქართველოს 1992 წლის 3 სექტემბრის შეთანხმებათა თაობაზე.

3. მომავალში აუცილებლად იქნეს მიჩნეული საერთაშორისო ბოლაპარაკებებისა და ხელშეკრულებათა ხელმოწერის დროს საოქმო მოთხოვნათა განუხრელი დაცვა, რომლებიც დაირღვა აღნიშნული დოკუმენტის მომზადების დროს.

4. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე დეზავუირებულ იქნეს კომუნიკე „საქართველოს რესპუბლიკაში რუსეთის ფედერაციის უზენაესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს თავმჯდომარის რ. გ. აბდულატიპოვისა და რუსეთის ფედერაციის მთავრობის თავმჯდომარის მოადგილის ს. მ. შახრაის 1993 წლის 18 თებერვლის სამუშაო ვიზიტის შედეგების შესახებ“.

5. დაევალოს საქართველოს რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს საქართველოს პარლამენტის ამ დადგენილების შესახებ აცნობოს რუსეთის ხელისუფლებას.

საქართველოს პარლამენტის სპიკერი ვახტანგ გოგუაძე.

თბილისი, 1993 წლის 4 მარტი.

საქართველოს პარლამენტის დადგენილება

44 საქართველოს საპარლამენტო ჯგუფების სხვა ქვეყნებში მივლინების წესის შესახებ

საქართველოს პარლამენტი **ადგენს:**

1. დაწესდეს, რომ საქართველოს საპარლამენტო ჯგუფების სხვა ქვეყნებში მივლინების საკითხი წყდება შემდეგნაირად:

ა) საქართველოს პარლამენტის საგარეო საქმეთა კომისიას წინადადება საპარლამენტო ჯგუფების სხვა ქვეყნებში მივლინების შესახებ შეაქვს პარლამენტის კოლეგიის სხდომაზე და კოლეგიის თანხმობით ამ საკითხზე დადგენილებას იღებს პარლამენტი.

ბ) ცალკეულ პარლამენტის წევრთა ინიციატივით მათი სხვა ქვეყანაში მივლინების მიზანშეწონილობის საკითხს წყვეტს პარ-

ლამენტის სპიკერი კოლეგიასთან შეთანხმებით, პარლამენტის წევრის განცხადების საფუძველზე, რომელშიც მითითებულია მივლინების მიზნები; მივლინების შედეგების შესახებ წერილობითი ანგარიში წარედგინება პარლამენტს.

2. დაევალოს საქართველოს პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომისიას სისტემატურად შეამოწმოს სამივლინებო თანხების გამოყენების სისწორე და ამის თაობაზე მოახსენოს პარლამენტს.

საქართველოს პარლამენტის სპიკერი ვახტანგ გოგუაძე.

თბილისი, 1993 წლის 10 მარტი.

საქართველოს პარლამენტის დადგენილება

45 საქართველოსა და თურქეთის რესპუბლიკებს შორის თანამშრომლობის ხელშემწყობი საპარლამენტო ჯგუფის შექმნის შესახებ

საქართველოსა და თურქეთის სახელმწიფოების კეთილმეზობლური ურთიერთობის განმტკიცების, ამ ქვეყნებს შორის ურთიერთთანამშრომლობის არსებული და მოსალოდნელი ხელშეკრულებების შესრულების, ეკონომიკური და კულტურული თანამშრომლობისათვის ხელშეწყობის, ამ საკითხებში მაქსიმალური ოპერატიულობის, კოორდინაციისა და პრაქტიკული შედეგების უზრუნველყოფისათვის, აგრეთვე იმის გათვალისწინებით, რომ თურქეთში მუშაობას შეუდგა ასეთივე საკითხებით დაინტერესებული კომისია,

საქართველოს პარლამენტი **ადგენს:**

შეიქმნას საქართველოსა და თურქეთის რესპუბლიკებს შორის თანამშრომლობის ხელშემწყობი საპარლამენტო ჯგუფი შემდეგი შემადგენლობით: რ. დოლიძე (ჯგუფის ხელმძღვანელი), დ. ბერძენიშვილი, გ. გეწაძე, ჯ. გორგოძე, ა. გუგუნავა, ო. ზუხბაია, გ. კორ-

ძაძე, ჯ. კურტანიძე, ვ. ლორთქიფანიძე, ი. მელაშვილი, ზ. ნოღაიდელი, გ. შაიშმელაშვილი, გ. ჩახვაძე, ი. ხარატიშვილი, გ. ქვლივიძე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს პარლამენტის სპიკერი ვახტანგ გოგუაძე.

თბილისი, 1993 წლის 10 მარტი.

საქართველოს პარლამენტის დადგენილება

46 „თანამედროვე ეტაპზე რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის საკითხების შესახებ“ დებატების თაობაზე

საქართველოს პარლამენტი, რომელმაც განიხილა თანამედროვე ეტაპზე რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის საკითხები და მიიჩნევს აუცილებლად ამ ურთიერთობათა მოწესრიგებისათვის მყარი სამართლებრივ-სახელშეკრულებო საფუძვლების შექმნას,

ადგენს:

1. მიუხედავად იმისა, რომ რუსეთის ხელისუფლებისა და შეიარაღებული ძალების ბოლოდროინდელმა მოქმედებამ გაამწვავა რუსეთ-საქართველოს ურთიერთობა, დაევალოს რუსეთ-საქართველოს მოლაპარაკებაზე საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის დელეგაციას განაგრძოს მოლაპარაკება რუსეთის მხარესთან შემოთავაზებული ხელშეკრულების მთელი პაკეტის საბოლოო გაფორმებისა და ხელმოწერის მიზნით.

2. დაევალოს რუსეთ-საქართველოს მოლაპარაკებაზე საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის დელეგაციას:

ა) ისე წარმართოს თავისი ძალისხმევა, რომ მიღწეულ იქნეს ორ ქვეყანას შორის საერთაშორისო სამართლის ნორმების შესაბამისი, თანასწორუფლებიანობისა და ერთმანეთის საშინაო საქმეებში ჩაურევლობის, ტერიტორიული მთლიანობის ურღვევობის, სახელმწიფოებრივი სუვერენიტეტის შეუვალობის, პოლიტიკური,

ეკონომიკური და სოციალური განვითარების საკითხებში კეთილმოსურნე მხარდაჭერისა და ხელშეწყობის პრინციპებზე დაფუძნებული ხელშეკრულება;

ბ) განსაკუთრებით გაამახვილოს ყურადღება ხელშეკრულების იმ პუნქტებზე, რომლებმაც შეიძლება მეორე მხარეს მისცეს საფუძველი ნებისმიერი საბაბით ჩაერიოს საქართველოს საშინაო საქმეებში;

გ) ხელშეკრულებათა ეკონომიკური ბლოკის შემუშავებისას იხელმძღვანელოს საქართველოს ეკონომიკური სუვერენიტეტის დაცვის, საკუთარი ფულად-საკრედიტო და საფინანსო სისტემის ფორმირებისა და ურთიერთხელსაყრელი სავაჭრო რეჟიმის დამკვიდრების პრიორიტეტებით;

დ) მიაღწიოს იმას, რომ სამხედრო საკითხებთან დაკავშირებულ ხელშეკრულებაში განისაზღვროს რუსეთის ჯარების გაყვანის გრაფიკი არა უგვიანეს 1995 წლისა და მოხდეს მათი სამართლებრივი სტატუსის და ქონებრივი საკითხების რეგულირება.

4. დაევალოს პარლამენტის სამდივნოს პარლამენტის წევრების მიერ გამოთქმული შენიშვნები და ცალკეულ ფორმულირებათა ალტერნატიული ვარიანტები გასათვალისწინებლად გაუგზავნოს რუსეთ-საქართველოს მოლაპარაკებაზე საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის დელეგაციას.

საქართველოს პარლამენტის სპიკერი ვახტანგ გოგუაძე.

თბილისი, 1993 წლის 11 მარტი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს პარლამენტის დადგენილება

47 „საქართველოს მოქალაქეობის შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის კანონის თაობაზე

საქართველოს პარლამენტი **ადგენს:**

საქართველოს რესპუბლიკის კანონი „საქართველოს მოქალაქეობის შესახებ“ მიღებულ იქნეს პირველი მოსმენით. ამასთან, ამოღებულ იქნეს: I მუხლის მეორე ნაწილიდან სიტყვები: „გარდა ამ კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა“, 27-ე მუხლის ბოლო აბზაცი და 34-ე მუხლის „ვ)“ პუნქტი.

საქართველოს პარლამენტის სპიკერი ვახტანგ გოგუაძე.

თბილისი, 1993 წლის 11 მარტი.

90345

საქართველოს პარლამენტის დადგენილება

48 „გაჭუჭყიანებისაგან შავი ზღვის დაცვის კონვენციის“ შესახებ

საქართველოს პარლამენტი **ადგენს:**

1. რატიფიცირებულ იქნეს „გაჭუჭყიანებისაგან შავი ზღვის დაცვის კონვენცია“.

2. საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობა მოყვანილ იქნეს „გაჭუჭყიანებისაგან შავი ზღვის დაცვის კონვენციის“ დებულებებთან შესაბამისობაში.

3. დაევალოს საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტს მიმდინარე წლის 10 აპრილამდე უზრუნველყოს საქართველოს რესპუბლიკის საკონვენციო სამსახურის ჩამოყალიბება.

საქართველოს პარლამენტის სპიკერი ვახტანგ გოგუაძე.

თბილისი, 1993 წლის 11 მარტი.

საქართველოს
ეროვნული
ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

49 გაჭუჭყიანებისაგან შავი ზღვის დაცვის კონვენცია

ხელშემკვრელი მხარეები, რომლებსაც

გადაწყვეტილი აქვთ იმოქმედონ შავი ზღვის გარემოს დაცვისა და მისი ცოცხალი რესურსების შენარჩუნებაში პროგრესის მიღწევის მიზნით,

გააზრებული აქვთ შავი ზღვის გარემოს ეკონომიკური, სოციალური და სამკურნალო მნიშვნელობა,

დარწმუნებულები არიან, რომ შავი ზღვის ბუნებრივი რესურსებისა და დასასვენებელი ზონების შენარჩუნება უწინარესად შავიზღვისპირეთის ქვეყნების გაერთიანებული ძალისხმევით არის შესაძლებელი,

ითვალისწინებენ საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებულ ნორმებსა და დებულებებს,

იღებენ მხედველობაში ზღვის გარემოს დაცვისა და შენარჩუნების, აგრეთვე მისი ცოცხალი რესურსების შენარჩუნების მარეგულირებელ საერთაშორისო სამართლის ზოგად პრინციპებს, ტრადიციებსა და ნორმებს,

ითვალისწინებენ ნარჩენებისა და სხვა ნივთიერებების ჩამარხვით ზღვის გარემოს გაჭუჭყიანების აღკვეთის 1972 წლის კონვენციის შესაბამის დებულებებს შესწორებებით; გემებიდან გაჭუჭყიანების აღკვეთის 1973 წლის საერთაშორისო კონვენციას შესწორებებით, მოდიფიცირებულს 1978 წლის ოქმით იმავე საკითხებზე; 1989 წლის კონვენციას საშიში ნარჩენების ტრანსსასაზღვრო გადაზიდვისა და მათგან განთავისუფლების კონტროლის შესახებ და ნავთობით გაჭუჭყიანებისას მზადყოფნის, მოქმედებისა და თანამშრომლობის 1990 წლის საერთაშორისო კონვენციას,

აღიარებენ ევროპაში უშიშროებისა და თანამშრომლობის თათბირის მიერ მიღებული პრინციპების მნიშვნელობას,

ითვალისწინებენ თავის ინტერესებს შავი ზღვის ბიოპროდუქციული პოტენციალის შენარჩუნების, ექსპლუატაციისა და განვითარების თვალსაზრისით,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ითვალისწინებენ იმ ფაქტს, რომ შავი ზღვის სანაპირო მნიშვნელოვანი საერთაშორისო საკურორტო ზონაა, სადაც შავი ზღვის ქვეყნებს ჯანმრთელობის დაცვისა და ტურიზმის განვითარებისათვის უზარმაზარი სახსრები აქვთ დაბანდებული,

ითვალისწინებენ შავი ზღვის განსაკუთრებულ ჰიდროლოგიურ და ეკოლოგიურ მახასიათებლებს და მისი ფლორისა და ფაუნის ზემგრძნობიარე დამოკიდებულებას ზღვის წყლის ტემპერატურასა და შემადგენლობაზე,

აღნიშნავენ აგრეთვე შავი ზღვის გარემოს გაჭუჭყიანებას ევროპის სხვა ქვეყნების ხმელეთზე მდებარე წყაროებით, ძირითადად მდინარეების საშუალებით,

ადასტურებენ თავის მზადყოფნას ითანამშრომლონ შავი ზღვის გარემოს შენარჩუნებისა და მისი ცოცხალი რესურსების გაჭუჭყიანებისაგან დაცვის საქმეში;

აღნიშნავენ კონვენციის მიზნების მისაღწევად მეცნიერულ, ტექნიკურ და ტექნოლოგიურ სფეროებში თანამშრომლობის აუცილებლობას,

აღნიშნავენ იმ გარემოებას, რომ არსებული საერთაშორისო შეთანხმებები არ მოიცავს მესამე ქვეყნების მიერ შავი ზღვის გარემოს გაჭუჭყიანების ყველა ასპექტს,

აღიარებენ შეთანხმებული რეგიონალური მიდგომის საფუძველზე კომპეტენტურ საერთაშორისო ორგანიზაციებთან მჭიდრო თანამშრომლობის საჭიროებას შავი ზღვის გარემოს დაცვისა და გაუმჯობესების მიზნით,

შეთანხმდნენ შემდეგზე:

მუხლი I

გავრცელების არე

1. ეს კონვენცია ვრცელდება საკუთრივ შავ ზღვაზე, რომლის სამხრეთ საზღვარს ამ კონვენციის მიზნებისათვის წარმოადგენს კელაგრისა და დალიანის კონცხების შემაერთებელი ხაზი.

2. ამ კონვენციის მიზნებისათვის ცნება შავი ზღვა მოიცავს თითოეული ხელშემკვრელი მხარის ტერიტორიულ ზღვასა და საკუთრებულ ეკონომიკურ ზონას შავ ზღვაში, თუმცა კონვენციის ნებისმიერი ოქმით სხვა რამ შეიძლება იყოს გათვალისწინებული ამ ოქმის მიზნების შესაბამისად.

მუხლი II

განსაზღვრებანი

ამ კონვენციის მიზნებისათვის:

1. „ზღვის გარემოს გაჭუჭყიანება“ ნიშნავს ადამიანის მიერ უშუალოდ ან არაპირდაპირი გზით ზღვის გარემოში ნივთიერებების ან ენერგიის შეტანას, ესტუარების ჩათვლით, რაც იწვევს ან შეიძლება გამოიწვიოს ისეთი დამანგრეველი შედეგები, როგორიცაა ზღვის გარემოს ცოცხალი რესურსებისა და სიცოცხლისათვის ზიანის მიყენება, ადამიანის ჯანმრთელობისათვის საფრთხის შექმნა, საზღვაო საქმიანობის დაბრკოლება თევზჭერისა და ზღვის სხვა სამართლებრივი გამოყენების ჩათვლით, ზღვის წყლის ხარისხისა და დასასვენებელი ზონების მდგომარეობის გაუარესება.

2. ა) „გემი“ ნიშნავს ყველა ტიპის საზღვაო ხომალდს. ეს აღნიშვნა მოიცავს წყალქვეშაფრთიან კატარღებს, ჰაერბალიშიან გემებს, წყალქვეშა ნავებს, საბუქსირო და თვითმავალ ხომალდებს, პლატფორმებსა და ხელოვნურად შექმნილ სხვა კონსტრუქციებს.

ბ) „საჰაერო ხომალდი“ ნიშნავს ყველა ტიპის საფრენ აპარატს.

3. ა) „ჩამარხვა“ ნიშნავს:

I. ნარჩენებისა და სხვა ნივთიერებების ნებისმიერ წინასწარ განზრახულ გადაყრას გემებიდან და საჰაერო ხომალდებიდან;

II. გემებისა და საჰაერო ხომალდების ნებისმიერ წინასწარ განზრახულ ჩაძირვას.

ბ) „ჩამარხვა“ არ მოიცავს:

I. გემების ან საჰაერო ხომალდების და მათი მოწყობილობის ნორმალურ ფუნქციონირებასთან დაკავშირებული ან მის შედეგად

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიღებული ნარჩენებისა და სხვა მასალის გადაყრას, გარდა იმ ნარჩენებისა და სხვა მასალისა, რომლებიც ასეთი მასალისაგან განთავისუფლების მიზნით მოქმედი გემებითა და საჰაერო ხომალდებით, ან მათზე გადასატვირთად გადაიზიდება, ან ამ გემებსა და საჰაერო ხომალდებზე აღნიშნული ნარჩენებისა და სხვა მასალის გადამუშავებით მიიღება;

II. მასალის მოთავსება მისი უბრალოდ გადაყრისაგან განსხვავებული მიზნით, იმ პირობით, რომ ეს მოთავსება არ ეწინააღმდეგება წინამდებარე კონვენციის მიზნებს.

4. „მავნე ნივთიერება" ნიშნავს ნებისმიერ საშიშ, მომწამლავ ან სხვა ნივთიერებას, რომელიც ზღვის გარემოში მოხვედრისას თავისი ტოქსიკური და (ან) მდგრადი და (ან) ბიოაკუმულაციური თვისებების გამო გამოიწვევს გაჭუჭყიანებას ან უარყოფითად იმოქმედებს ბიოლოგიურ პროცესებზე.

მუხლი III

ზოგადი დებულება

ხელშემკვრელი მხარეები ამ კონვენციაში მონაწილეობენ უფლებებისა და მოვალეობების სრული თანასწორობის, ეროვნული სუვერენიტეტისა და დამოუკიდებლობის პატივისცემის, საშინაო საქმეებში ჩაურევლობის, ურთიერთსარგებლიანობისა და საერთაშორისო სამართლის სხვა შესაბამისი პრინციპებისა და ნორმების საფუძველზე.

მუხლი IV

სუვერენული იმუნიტეტი

ეს კონვენცია არ ვრცელდება საჰაერო ხომალდებზე, სამხედრო-საზღვაო დამხმარე ან სახელმწიფოს კუთვნილ, ან მის მიერ ექსპლუატირებულ სხვა გემებსა და საჰაერო ხომალდებზე, რომლებიც ექსკლუზიურად მხოლოდ სამთავრობო არაკომერციული სამსახურისათვის გამოიყენება.

მიუხედავად ამისა, გარკვეულ ღონისძიებათა საშუალებით, რომლებიც არ შეაფერხებენ მისი კუთვნილი ან მის მიერ ექსპლუატირებული ასეთი გემებისა და საჰაერო ხომალდების ფუნქციონირებას, თითოეული ხელშემკვრელი მხარე უზრუნველყოფს ასეთი გემებისა და საჰაერო ხომალდების პრაქტიკული შესაძლებლობების ფარგლებში ამ კონვენციის შესაბამისად მოქმედებას.

მუხლი V

ზოგადი ვალდებულებები

1. თითოეული ხელშემკვრელი მხარე უზრუნველყოფს ამ კონვენციის გამოყენებას შავი ზღვის იმ რეგიონებში, სადაც ვრცელდება მისი სუვერენიტეტი, აგრეთვე სუვერენული უფლებანი და იურისდიქცია, ხელშემკვრელი მხარეების იმ უფლებების შეულახავად, რომლებიც საერთაშორისო სამართლის ნორმებიდან გამომდინარეობს.

თითოეული ხელშემკვრელი მხარე, ამ კონვენციის მიზნების მისაღწევად, ითვალისწინებს თავისი შიდა წყლების ფარგლებში გაჭუჭყიანების მავნე ზეგავლენას შავი ზღვის გარემოზე.

2. ხელშემკვრელი მხარეები, შექმნილი პირობების შესაბამისად, ინდივიდუალურად ან ერთობლივად ახორციელებენ საერთაშორისო სამართლის შესატყვის და ამ კონვენციის შესაბამის ყველა საჭირო ღონისძიებას იმისათვის, რომ შავი ზღვის გარემოს დაცვისა და შენარჩუნების მიზნით აღკვეთონ, შეამცირონ და კონტროლი გაუწიონ მის გაჭუჭყიანებას.

3. ხელშემკვრელი მხარეები თანამშრომლობენ ამ კონვენციის გამოყენებისათვის საჭირო დამატებითი ოქმებისა და დანართების შემუშავებაში, რომლებიც განსხვავდება ამ კონვენციას თანდართული ოქმებისა და დანართებისაგან.

4. შავი ზღვის გარემოს დაცვისა და შენარჩუნებისათვის გამიზნული ორმხრივი ან მრავალმხრივი ხელშეკრულებების დადებისას ხელშემკვრელი მხარეები ისწრაფვიან უზრუნველყონ ასეთი ხელშეკრულებების შესაბამისობა ამ კონვენციასთან. ასეთი ხელ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

შეკრულებების ასლები გადაეცემა დანარჩენ ხელშემკვრელ მხარეებს კომისიის საშუალებით, რომლის შექმნაც ამ კონვენციის XVIII მუხლით არის განსაზღვრული.

5. ხელშემკვრელი მხარეები თანამშრომლობენ მათგან კომპეტენტურად მიჩნეული საერთაშორისო ორგანიზაციების ფარგლებში ისეთი ზომების შემუშავებაში, რომლებიც ხელს შეუწყობენ შავი ზღვის გარემოს დაცვას და შენარჩუნებას.

მუხლი VI

საშიში ნივთიერებებითა და მასალებით გაჭუჭყიანება

არც ერთი ხელშემკვრელი მხარე არ დაუშვებს რომელიმე წყაროთი შავი ზღვის გარემოს გაჭუჭყიანებას იმ ნივთიერებებითა და მასალებით, რომლებიც ჩამოთვლილია წინამდებარე კონვენციის დამატებაში.

მუხლი VII

ხმელეთზე მდებარე წყაროების გაჭუჭყიანება

ხელშემკვრელი მხარეები არ დაუშვებენ, შეამცირებენ და კონტროლს გაუწევენ ხმელეთზე მდებარე წყაროებით შავი ზღვის გარემოს გაჭუჭყიანებას ხმელეთზე მდებარე წყაროებით შავი ზღვის გარემოს გაჭუჭყიანებისაგან დაცვის შესახებ ოქმის შესაბამისად, რომელიც ამ კონვენციის განუყოფელი ნაწილია.

მუხლი VIII

გემებიდან გაჭუჭყიანება

ხელშემკვრელი მხარეები, ინდივიდუალურად ან, საჭიროების შემთხვევაში, ერთობლივად ახორციელებენ საყოველთაოდ აღიარებული საერთაშორისო ნორმებისა და სტანდარტების შესაბამის ყველა საჭირო ღონისძიებას, რათა აღკვეთონ, შეამცირონ და კონტროლი გაუწიონ შავი ზღვის გარემოს გაჭუჭყიანებას გემებიდან.

მუხლი IX

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაჭუჭყიანების წინააღმდეგ ბრძოლაში თანამშრომლობა საგანგებო ვითარების დროს

ხელშემკვრელი მხარეები თანამშრომლობენ, რათა აღკვეთონ, შეამცირონ და ებრძოლონ შავი ზღვის გარემოს საგანგებო ვითარებაში გაჭუჭყიანებას საგანგებო ვითარების დროს ნავთობითა და სხვა მავნე ნივთიერებებით შავი ზღვის გარემოს გაჭუჭყიანების წინააღმდეგ ბრძოლაში თანამშრომლობის შესახებ ოქმის შესაბამისად, რომელიც ამ კონვენციის განუყოფელი ნაწილია.

მუხლი X

ჩამარხვით გამოწვეული გაჭუჭყიანება

1. ხელშემკვრელი მხარეები ყველაფერს ღონობენ და თანამშრომლობენ, რათა შეამცირონ და კონტროლი გაუწიონ ჩამარხვის შედეგად გამოწვეულ გაჭუჭყიანებას ჩამარხვით გამოწვეული გაჭუჭყიანებისაგან შავი ზღვის გარემოს დაცვის შესახებ ოქმის შესაბამისად, რომელიც ამ კონვენციის განუყოფელი ნაწილია.

2. ხელშემკვრელი მხარეები თავიანთი შესაბამისი იურისდიქციის რეგიონებში არ აძლევენ ჩამარხვის ნებას იმ სახელმწიფოების ფიზიკურ თუ იურიდიულ პირებს, რომლებიც შავი ზღვის ქვეყნებს არ განეკუთვნებიან.

მუხლი XI

კონტინენტურ შელფზე საქმიანობით გამოწვეული გაჭუჭყიანება

1. თითოეული ხელშემკვრელი მხარე რაც შეიძლება უმოკლეს ვადებში იღებს კანონებსა და წესებს, აგრეთვე ზომებს, რათა აღკვეთოს, შეამციროს და კონტროლი გაუწიოს შავი ზღვის გარემოს

გაჭუჭყიანებას, რომელიც გამოწვეული ან დაკავშირებულია კონტინენტურ შელფზე წარმოებულ საქმიანობასთან, კონტინენტური შელფის ბუნებრივი რესურსების დაზვერვისა და ექსპლუატაციის ჩათვლით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხელშემკვრელი მხარეები კომისიის მეშვეობით აცნობენ ერთმანეთს ამ თვალსაზრისით მიღებულ თავიანთ კანონებს, წესებსა და ღონისძიებებს.

2. ხელშემკვრელი მხარეები საჭიროების შესაბამისად თანამშრომლობენ ამ სფეროში და ისწრაფვიან შეათანხმონ ამ მუხლის I პუნქტში აღნიშნული ზომები.

მუხლი XII

გაჭუჭყიანება ატმოსფეროდან ან მისი მეშვეობით

ხელშემკვრელი მხარეები ატმოსფეროდან ან მისი მეშვეობით შავი ზღვის გარემოს გაჭუჭყიანების აღკვეთის, მისი შემცირებისა და კონტროლის მიზნით იღებენ კანონებსა და წესებს, აგრეთვე ინდივიდუალურ ან შეთანხმებულ ღონისძიებებს, რომლებიც მათი ტერიტორიების საჰაერო სივრცეებზე, მათი დროშებით მცურავ გემებსა და მათ ტერიტორიაზე რეგისტრირებულ გემებსა და საჰაერო ხომალდებზე ვრცელდება.

მუხლი XIII

ზღვის ცოცხალი რესურსების დაცვა

ახორციელებენ რა ღონისძიებებს ამ კონვენციის შესაბამისად შავი ზღვის გარემოს გაჭუჭყიანების აღსაკვეთად, მისი შემცირებისა და კონტროლის მიზნით, ხელშემკვრელი მხარეები განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობენ ზღვის სიცოცხლისა და ცოცხალი რესურსებისათვის მათი არსებობის გარემოს შეცვლითა და თევზსაჭერისა და შავი ზღვის სხვა დაშვებული გამოყენებისათვის შეფერხებების შექმნით გამოწვეული ზიანის თავიდან აცილებას და ამ თვალსაზრისით სათანადოდ ითვალისწინებენ კომპეტენტური საერთაშორისო ორგანიზაციების რეკომენდაციებს.

მუხლი XIV

საშიში ნარჩენებით გაჭუჭყიანება ტრანსსასაზღვრო ტვირთზიდვის დროს

ხელშემკვრელი მხარეები საერთაშორისო სამართლის შესატყვის ყველა ღონისძიებას ახორციელებენ და თანამშრომლობენ, რათა აღკვეთონ შავი ზღვის გარემოს საშიში ნარჩენებით გაჭუჭყიანება ტრანსსასაზღვრო ტვირთზიდვის დროს და აგრეთვე იბრძოლონ მათი უკანონო გადაზიდვის წინააღმდეგ იმ ოქმის შესაბამისად, რომელსაც ისინი მიიღებენ.

მუხლი XV

სამეცნიერო და ტექნიკური თანამშრომლობა და მონიტორინგი

1. ხელშემკვრელი მხარეები თანამშრომლობენ შავი ზღვის გარემოს დაცვისა და შენარჩუნების მიზნით სამეცნიერო კვლევის წარსამართავად, საჭიროების შემთხვევაში ახორციელებენ სამეცნიერო კვლევის ერთობლივ პროგრამებს და ერთმანეთს უცვლიან შესაბამის მეცნიერულ მონაცემებსა და ინფორმაციას.

2. ხელშემკვრელი მხარეები თანამშრომლობენ ისეთი კვლევის წარსამართავად, რომლის მიზანია გაჭუჭყიანების ბუნებისა და ხარისხის, აგრეთვე წყლის სვეტში და სედიმენტებში ეკოლოგიურ სისტემაზე მისი ზეგავლენის შეფასების მეთოდებისა და საშუალებების განვითარება, გაჭუჭყიანების ფართობების გამოვლენა, საშიშროების შესწავლა და შეფასება, მისი აღმოფხვრის საშუალებების გამოძებნა; კერძოდ, ისინი ავითარებენ მავნე ნივთიერებების გადამუშავების, თავიდან მოცილების, ლიკვიდაციისა და გამოყენების ალტერნატიულ მეთოდებს.

3. ხელშემკვრელი მხარეები კომისიების მეშვეობით თანამშრომლობენ შესაბამისი მეცნიერული კრიტერიუმების დასადგენად შავი ზღვის გარემოს გაჭუჭყიანების აღსაკვეთად, მისი შემცირებისა და კონტროლის წესების, სტანდარტების, აგრეთვე რეკო-

მენდებული პრაქტიკისა და პროცედურების ფორმულირებისა და შემუშავებისათვის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

4. ხელშემკვრელი მხარეები, გარდა სხვა სამუშაოებისა, კომისიის მეშვეობით და, საჭიროების შემთხვევაში, მათ მიერ კომპეტენტურად მიჩნეულ საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობით, ადგენენ გაჭუჭყიანების ყველა წყაროს მომცველ ერთმანეთის შემავსებელ ერთობლივ მონიტორინგულ პროგრამებს და შეიმუშავებენ შავი ზღვის გაჭუჭყიანების მონიტორინგულ სისტემას, რომელიც მოიცავს შავი ზღვის გარემოს გაჭუჭყიანების საშიშროებასა და ზეგავლენაზე დაკვირვების, მათი გაზომვის, შეფასებისა და ანალიზის საჭიროებისამებრ, ორმხრივ ან მრავალმხრივ პროგრამებს.

5. როდესაც ხელშემკვრელ მხარეებს საკმარისი საფუძველი აქვთ იმისა, რომ მათი იურისდიქციის ან კონტროლის ფარგლებში წარმოებულმა საქმიანობამ შეიძლება გამოიწვიოს შავი ზღვის გარემოს მნიშვნელოვანი გაჭუჭყიანება და საგრძნობი მავნე ცვლილებანი, ისინი ასეთი საქმიანობის დაწყებამდე შესაბამისი სრული ინფორმაციისა და მონიტორინგის მონაცემების საფუძველზე აფასებენ მათ შესაძლო გავლენას და კომისიას უგზავნიან ამ შეფასების შედეგებს.

6. ხელშემკვრელი მხარეები საჭიროების კვალობაზე თანამშრომლობენ სუფთა და უნარჩენო ტექნოლოგიის განვითარებაში, მიღებასა და დანერგვაში, გარდა ამისა ხელს უწყობენ ასეთი ტექნოლოგიების გაცვლას.

7. თითოეული ხელშემკვრელი მხარე ნიშნავს კომპეტენტურ ეროვნულ სამთავრობო ორგანოს, რომელსაც პასუხისმგებლობა ეკისრება სამეცნიერო მოღვაწეობისა და მონიტორინგის წარმართვისათვის.

მუხლი XVI

პასუხისმგებლობა და ვალდებულებანი

1. ხელშემკვრელ მხარეებს ეკისრებათ პასუხისმგებლობა შავი ზღვის გარემოს დაცვისა და შენარჩუნების საერთაშორისო ვალდებულებების შესრულებისათვის.

2. თითოეული ხელშემკვრელი მხარე იღებს ნორმებსა და დებულებებს, რომლებიც ითვალისწინებენ პასუხისმგებლობას ფიზიკური ან იურიდიული პირების მიერ შავი ზღვის გარემოსათვის მიყენებული ზარალის გამო იმ რეგიონებში, რომლებზეც საერთაშორისო სამართლის შესაბამისად, ვრცელდება მისი სუვერენიტეტი, სუვერენული უფლებები ან იურისდიქცია.

3. ხელშემკვრელი მხარეები თავიანთი სამართლებრივი სისტემების შესაბამისად უზრუნველყოფენ მათს იურისდიქციაში მყოფი ფიზიკური თუ იურიდიული პირების მიერ შავი ზღვის გარემოს გაჭუჭყიანებით გამოწვეული ზარალის სწრაფი და ადეკვატური კომპენტენციის ან სხვა სახის ანაზღაურების შესაძლებლობას.

4. ხელშემკვრელი მხარეები თანამშრომლობენ შავი ზღვის გარემოს გაჭუჭყიანებით გამოწვეული ზარალისათვის პასუხისმგებლობის, შეფასებისა და კომპენტენციის შესახებ კანონების, დებულებებისა და პროცედურების შემუშავებასა და შეთანხმებაში შავი ზღვის შენარჩუნებისა და დაცვის მაქსიმალურად უზრუნველყოფისათვის.

მუხლი XVII

კომისია

1. ამ კონვენციის მიზნების მისაღწევად ხელშემკვრელი მხარეები აფუძნებენ გაჭუჭყიანებისაგან შავი ზღვის დაცვის კომისიას, რომელსაც აქ შემდგომში „კომისია“ ეწოდება.

2. თითოეული ხელშემკვრელი მხარე კომისიაში წარმოდგენილია ერთი წარმომადგენლით, რომელსაც შეიძლება ახლდეს თან ალტერნატიული წარმომადგენლები, მრჩევლები და ექსპერტები.

3. კომისიას რიგრიგობით, ინგლისური ენის ანბანთრიგის მიხედვით, თავმჯდომარეობს თითოეული ხელშემკვრელი მხარის წარმომადგენელი. კომისიის პირველი თავმჯდომარე იქნება ბულგარეთის რესპუბლიკის წარმომადგენელი.

თავმჯდომარე თავის ფუნქციას ერთი წლის მანძილზე ასრულებს და ამ ვადის განმავლობაში მას არ შეუძლია იმოქმედოს, როგორც თავისი ქვეყნის წარმომადგენელმა. თუ თავმჯდომარის ად-

ელი ვაკანტური გახდა, ხელშემკვრელი მხარე, რომელიც თავმჯ-
დომარეობს კომისიას, ნიშნავს მის შემცვლელს, რომელიც ამ
პოსტზე რჩება თავმჯდომარეობის ვადის გასვლამდე.

4. კომისია წელიწადში ერთხელ მაინც იკრიბება. ნებისმიერი ხელშემკვრელი მხარის მოთხოვნით თავმჯდომარე იწვევს რიგგარეშე სხდომას.

5. კომისიის გადაწყვეტილებებსა და რეკომენდაციებს შავი ზღვის ქვეყნები ერთხმად იღებენ კენჭისყრის პრინციპის საფუძველზე.

6. კომისიას მისი საქმიანობის წარმართვაში ეხმარება მუდმივმოქმედი სამდივნო. კომისია ნიშნავს აღასრულებელ დირექტორსა და სამდივნოს სხვა თანამდებობის პირებს. აღმასრულებელი დირექტორი ნიშნავს ტექნიკურ პერსონალს იმ წესების შესაბამისად, რომლებსაც ადგენს კომისია. სამდივნო შავი ზღვის ყველა სახელმწიფოს ეროვნების მქონე პირებისაგან შედგება.

კომისიისა და სამდივნოს შტაბ-ბინა სტამბოლშია. შტაბ-ბინის ადგილმდებარეობა შეიძლება შეიცვალოს ხელშემკვრელ მხარეთა ერთსულოვანი თანხმობის საფუძველზე.

7. თავისი ფუნქციების შესასრულებლად კომისია იღებს პროცედურის საკუთარ წესებს, წყვეტს თავისი საქმიანობის ორგანიზაციულ საკითხებს და ამ კონვენციის შესაბამისად ქმნის დამხმარე სამსახურებს.

8. ხელშემკვრელი მხარეების წარმომადგენლები, ალტერნატიული წარმომადგენლები, მრჩევლები და ექსპერტები შესაბამისი ხელშემკვრელი მხარის ტერიტორიაზე სარგებლობენ საერთაშორისო სამართლით მინიჭებული დიპლომატიური პრივილეგიებითა და იმუნიტეტებით.

9. სამდივნოს თანამდებობის პირთა პრივილეგიებისა და იმუნიტეტის საკითხი ხელშემკვრელ მხარეთა შეთანხმებით განისაზღვრება.

10. კომისიას ენიჭება მისი ფუნქციების განხორციელებისათვის საჭირო სამართლებრივი უფლებები.

11. კომისია მასპინძელ ხელშემკვრელ მხარესთან დებს შეთანხმებას შტაბ-ბინის შესახებ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მუხლი XVIII

კომისიის ფუნქციები

კომისია:

1. ხელს უწყობს ამ კონვენციის შესრულებას და ხელშემკვრელ მხარეებს აწვდის ინფორმაციას თავისი მუშაობის შესახებ.

2. იძლევა ამ კონვენციის მიზნების მისაღწევად საჭირო ღონისძიებათა რეკომენდაციებს.

3. განიხილავს კონვენციის შესრულებასთან დაკავშირებულ საკითხებს, საჭიროების შემთხვევაში გამოაქვს რეკომენდაციები კონვენციისა და ოქმების შესწორების, აგრეთვე კონვენციისა და ოქმების დანართების შესახებ.

4. შეიმუშავებს შავი ზღვის გარემოს გაჭუჭყიანების აღკვეთის, შემცირებისა და კონტროლის, გაჭუჭყიანების შედეგების ლიკვიდაციის კრიტერიუმებს და აგრეთვე ამ მხრივ განსახორციელებელ ღონისძიებათა რეკომენდაციებს.

5. ხელს უწყობს ხელშემკვრელ მხარეებს შავი ზღვის გარემოს დაცვისათვის საჭირო ღონისძიებათა განხორციელებაში და ამ მიზნით იღებს, ამუშავებს და ხელშემკვრელ მხარეებს აწვდის შესაბამის სამეცნიერო, ტექნიკურ და სტატისტიკურ ინფორმაციას, აგრეთვე ხელს უწყობს მეცნიერულ და ტექნიკურ კვლევას.

6. თანამშრომლობს კომპეტენტურ საერთაშორისო ორგანიზაციებთან, უწინარეს ყოვლისა შესაბამისი პროგრამების დამუშავებისა და ამ კონვენციის მიზნების მიღწევაში დახმარების მიღების მიზნით.

7. განიხილავს სახელშეკრულებო მხარისაგან დასმულ ნებისმიერ საკითხს.

8. ასრულებს ამ კონვენციის დებულებებით გათვალისწინებულ ფუნქციებს და აგრეთვე ხელშემკვრელი მხარეების მიერ კომისიისათვის ერთხმად მინიჭებულ ფუნქციებს.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მუხლი XIX

ხელშემკვრელი მხარეების შეხვედრები

1. ხელშემკვრელი მხარეები სათათბიროდ იკრიბებიან კომისიის რეკომენდაციით. თათბირი აგრეთვე იკრიბება საგანგებო ვითარების დროს, ერთ-ერთი ხელშემკვრელი მხარის მოთხოვნით ათი დღის ვადაში.

2. ხელშემკვრელი მხარეების თათბირის ძირითადი ფუნქციაა კომისიის მოხსენების საფუძველზე ამ კონვენციისა და ოქმების შესრულების მიმდინარეობის განხილვა.

3. არაშავიზღვისპირა სახელმწიფოს, რომელიც უერთდება კონვენციას, შეუძლია დაესწროს ხელშემკვრელი მხარეების თათბირს სათათბირო ხმის უფლებით.

მუხლი XX

კონვენციისა და (ან) ოქმების შესწორებათა მიღება

1. თითოეულ ხელშემკვრელ მხარეს შეუძლია ამ კონვენციის მუხლების შესწორებათა შემოთავაზება.

2. ამ კონვენციის ნებისმიერ ხელშემკვრელ მხარეს შეუძლია ნებისმიერი ოქმის შესწორებათა შემოთავაზება.

3. ყველა ეს შესწორება ეგზავნება დეპოზიტარს, იგი კი დიპლომატიური არხებით აცნობებს ყველა ხელშემკვრელ მხარესა და კომისიას.

4. ამ კონვენციისა და ნებისმიერი ოქმის შესწორებები მიიღება ხელშემკვრელ მხარეთა დიპლომატიურ კონფერენციაზე, რომელიც დეპოზიტარისაგან შეთავაზებული შესწორებების გავრცელების შემდეგ 90 დღის ვადაში მოიწვევა.

5. შესწორებები ძალაში შედის 30 დღეში მას შემდეგ, რაც დეპოზიტარი მიიღებს ყველა ხელშემკვრელი მხარის თანხმობის შეტყობინებას ამ შესწორებებზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მუხლი XXI

დანართები და დანართების შესწორებანი

1. ამ კონვენციის ან ნებისმიერი ოქმის დანართები შესაბამისად კონვენციის ან ასეთი ოქმის განუყოფელი ნაწილია.

2. ყოველ ხელშემკვრელ მხარეს, კომისიაში თავისი წარმომადგენლის მეშვეობით, შეუძლია ამ კონვენციის ან ნებისმიერი ოქმის დანართის შესწორების შემოთავაზება. ასეთ შესწორებებს კომისია იღებს ერთსულოვანი თანხმობის საფუძველზე. კომისიის გადაწყვეტილებების შესახებ მისი თავმჯდომარის მიერ შესაბამისად ინფორმირებული დეპოზიტარი დაუყოვნებლივ აცნობებს ყველა ხელშემკვრელ მხარეს აღნიშნული წესით მიღებულ შესწორებებს. ასეთი შესწორებები ძალაში შედის 30 დღეში მას შემდეგ, რაც დეპოზიტარი მიიღებს ყველა ხელშემკვრელი მხარის თანხმობის შეტყობინებას ამ შესწორებებზე.

3. კონვენციის ამ ნებისმიერი ოქმის ახალი დანართის მიღებისა და ძალაში შესვლისას მოქმედებს ამ მუხლის მე-2 პუნქტით დებულებანი.

მუხლი XXII

შეტყობინება შესწორებების ძალაში შესვლის შესახებ

დეპოზიტარი დიპლომატიური არხების საშუალებით ხელშემკვრელ მხარეებს აცნობებს XX და XXI მუხლების შესაბამისად მიღებული შესწორებების ძალაში შესვლის თარიღს.

მუხლი XXIII

საფინანსო წესები

ხელშემკვრელი მხარეები ყველა ფინანსურ საკითხს თანხმობის პრინციპის საფუძველზე წყვეტენ კომისიის რეკომენდაციების შესაბამისად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მუხლი XXIV

სხვა საერთაშორისო დოკუმენტებთან დამოკიდებულება

ამ კონვენციის არც ერთი დებულება არანაირად არ ზღუდავს სახელმწიფო სუვერენიტეტს საერთაშორისო სამართლით დადგენილ მათს ტერიტორიულ ზღვაზე და საერთაშორისო სამართლის შესაბამის სუვერენულ უფლებებსა და იურისდიქციას მათს განსაკუთრებულ ეკონომიკურ ზონებში და კონტინენტურ შელფზე, აგრეთვე გემებისა და საჰაერო ხომალდების მიერ საერთაშორისო სამართლის ნორმებით გათვალისწინებული და შესაბამის საერთაშორისო დოკუმენტებში ასახული სანავიგაციო უფლებებისა და თავისუფლებების განხორციელებას.

მუხლი XXV

უთანხმოების მოწესრიგება

ამ კონვენციის ინტერპრეტაციასთან და შესრულებასთან დაკავშირებით ხელშემკვრელ მხარეებს შორის უთანხმოების შემთხვევაში, ისინი ცდილობენ მოაგვარონ ეს უთანხმოება მოლაპარაკების საშუალებით, ან, მათი არჩევანის მიხედვით, ნებისმიერი სხვა მშვიდობიანი გზით.

მუხლი XXVI

დამატებითი ოქმების მიღება

1. რომელიმე ხელშემკვრელი მხარის მოთხოვნით ან კომისიის რეკომენდაციით, ყველა ხელშემკვრელი მხარის თანხმობის შემთხვევაში, შეიძლება მოიწვიონ ხელშემკვრელი მხარეების დიპლომატიური კონფერენცია დამატებითი ოქმების მიღების მიზნით.

2. დამატებითი ოქმების ხელმოწერა, რატიფიკაცია, მიღება, მოწონება, მათთან შეერთება, ძალაში შესვლა და დენონსაცია ხორციელდება იმ პროცედურების საფუძველზე, რომლებიც, ამ კონვენციის შესაბამისად, განსაზღვრულია XXVIII, XXIX და XXX მუხლებში.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მუხლი XXVII

დამატებითი შენიშვნები

ამ კონვენციის დამატებითი შენიშვნები დაუშვებელია.

მუხლი XXVIII

ხელმოწერა, რატიფიკაცია, მიღება, მოწონება და შეერთება

1. ეს კონვენცია ღიაა ხელმოსაწერად შავი ზღვის სახელმწიფოებისათვის.

2. ეს კონვენცია ექვემდებარება რატიფიკაციას, მიღებას ან მოწონებას ხელმომწერი სახელმწიფოების მიერ.

3. ნებისმიერ არაშავიზღვისპირა სახელმწიფოს, რომელიც დაინტერესებულია ამ კონვენციის მიზნების მიღწევაში და არსებითად უწყობს ხელს შავი ზღვის გარემოს დაცვასა და შენარჩუნებას, შეუძლია შეუერთდეს კონვენციას იმ პირობით, რომ აღნიშნულ სახელმწიფოს მოიწვევს ყველა ხელშემკვრელი მხარე. შეერთებისათვის მოწვევის საპროცედურო საკითხებს განიხილავს დეპოზიტარი.

4. რატიფიკაციის, მიღების, მოწონების ან შეერთების დოკუმენტები შესანახად ბარდება დეპოზიტარს. წინამდებარე კონვენციის დეპოზიტარია რუმინეთის მთავრობა.

მუხლი XXIX

ძალაში შესვლა

ეს კონვენცია ძალაში შედის რატიფიკაციის, მიღების ან მოწონების მეოთხე დოკუმენტის დეპოზიტარისათვის შესანახად ჩაბარების დღიდან 60 დღის გასვლის შემდეგ.

სახელმწიფოსათვის, რომელიც ამ კონვენციას XXVIII მუხლის შესაბამისად უერთდება, კონვენცია ძალაში შედის შეერთების შესახებ დოკუმენტის შესანახად ჩაბარებიდან 60 დღის გასვლის შემდეგ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მუხლი XXX

დენონსაცია

ამ კონვენციის ძალაში შესვლის დღიდან ხუთი წლის გასვლის შემდეგ ყოველ ხელშემკვრელ მხარეს შეუძლია კონვენციის დენონსირება დეპოზიტარის სახელზე გაგზავნილი წერილობითი შეტყობინებით. დენონსაცია ძალაში შედის დეპოზიტარის მიერ შეტყობინების მიღების მომდევნო წლის დეკემბრის ოცდამეთერთმეტე დღეს.

შედგენილია ინგლისურ ენაზე ათას ცხრაასოთხმოცდათორმეტი წლის აპრილის ოცდამეერთე დღეს ბუქარესტში.

1. ბულგარეთის რესპუბლიკის სახელით	ვალენტინ ვასილიევი
2. საქართველოს რესპუბლიკის სახელით	დავით ნაკანი
3. რუმინეთის სახელით	მარჩიან ბლეაჰუ
4. რუსეთის ფედერაციის სახელით	თევდორე შელოვკოვედიაევი
5. თურქეთის რესპუბლიკის სახელით	დოღანჯან აქიურექი
6. უკრაინის სახელით	იური შჩერბაკი

დ ა ნ ა რ თ ი

1. კალის ორგანული ნაერთები.
2. ორგანულ-ჰალოგენური ნაერთები, მაგ. დდტ, დდე, დდდ, ჰქბ.
3. ფოსფორის მდგრადი ორგანული ნაერთები.
4. ვერცხლისწყალი და მისი ნაერთები.
5. კადმიუმი და მისი ნაერთები.
6. დადასტურებული მომწამლავი კანცეროგენული, ტერატოგენული ან მუტაგენური თვისებების მქონე მდგრადი ნივთიერებები.
7. გამოყენებული საპოხი ზეთები.
8. მცურავი, ჩაძირული ან მოტივტივე მდგრადი სინთეზური მასალები.
9. რადიოაქტიური ნივთიერებები და ნარჩენები, მათ შორის გამოყენებული რადიოაქტიური საწვავი.
10. ტყვია და მისი ნაერთები.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს პარლამენტის დადგენილება

50 **საქართველოს პარლამენტის ხელისუფლებისა და მმართველობის ცენტრალურ და ადგილობრივ ორგანოთა რეფორმებისა და აგრარული კომისიების შემადგენლობაში ცვლილების შესახებ**

საქართველოს პარლამენტი **ადგენს:**

პარლამენტის წევრი თამაზ **ცინცაძე** არჩეულ იქნეს აგრარული კომისიის შემადგენლობაში და გამოყვანილ იქნეს ხელისუფლებისა და მმართველობის ცენტრალურ და ადგილობრივ ორგანოთა რეფორმების კომისიის შემადგენლობიდან.

საქართველოს პარლამენტის სპიკერი ვახტანგ გოგუაძე.

თბილისი, 1993 წლის 17 მარტი.

საქართველოს პარლამენტის დადგენილება

51 **„საქართველოს რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსში დამატების შეტანის შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის კანონის პროექტის გამარტივებული პროცედურით კენჭისყრის თაობაზე**

საქართველოს პარლამენტი **ადგენს:**

„საქართველოს რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსში დამატების შეტანის შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის კანონის პროექტის კენჭისყრა მოხდეს გამარტივებული პროცედურით.

საქართველოს პარლამენტის სპიკერი ვახტანგ გოგუაძე.

თბილისი, 1993 წლის 17 მარტი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

52 საქართველოს რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილებების შეტანის შესახებ

საქართველოს პარლამენტი **ადგენს:**

1. 1960 წლის 30 დეკემბერს დამტკიცებულ საქართველოს რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსს (საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1961 წ. № 1, მუხ. 10) დაემატოს შემდეგი შინაარსის 66[1] მუხლი.

„მუხლი 66[1]. დაქირავებული პირის მონაწილეობა შეიარაღებულ კონფლიქტში ან საბრძოლო მოქმედებაში

დაქირავებული პირის მონაწილეობა უცხო ქვეყნის ტერიტორიაზე შეიარაღებულ კონფლიქტში ან საომარ მოქმედებაში მატერიალური გასამრჯელოს, რაიმე გამორჩენის მიღების მიზნით, ან ასეთი მონაწილეობა სხვა ქვენაგრძნობით, თუ ეს პირი არ არის ამ ქვეყნის მოქალაქე ან არ ცხოვრობს მის ტერიტორიაზე მუდმივად და არა აქვს უფლებამოსილება ოფიციალური მოვალეობების შესასრულებლად იმ სახელმწიფოს მიერ, რომელიც არ მონაწილეობს შეიარაღებულ კონფლიქტში ან საბრძოლო მოქმედებაში, —

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ხუთიდან რვა წლამდე.

იგივე მოქმედება თუ მას მოჰყვა განსაკუთრებით დიდი ზარალი ან სხვა მძიმე შედეგი, —

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით შვიდიდან თორმეტ წლამდე.

ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული მოქმედება, თუ მას მოჰყვა ადამიანთა მსხვერპლი, —

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით რვიდან თხუთმეტ წლამდე ან ისჯება სიკვდილით“.

2. ეს კანონი ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე —
სახელმწიფოს მეთაური **ედუარდ შევარდნაძე.**

საქართველოს პარლამენტის
სპიკერი **ვახტანგ გოგუაძე.**

თბილისი, 1993 წლის 17 მარტი.

53 საქართველოს რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსში დამატებების შეტანის შესახებ

საქართველოს პარლამენტი **ადგენს:**

1. 1960 წლის 30 დეკემბერს დამტკიცებულ საქართველოს რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსში (საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1961 წ. № 1, მუხ. 10) შეტანილ იქნეს შემდეგი დამატებები:

I. დაემატოს კოდექსს შემდეგი შინაარსის 238[1] მუხლი:

„მუხლი 238[1]. უკანონო შეიარაღებული ფორმირების ორგანიზაცია ან მასში მონაწილეობა

უკანონო შეიარაღებული ფორმირების ორგანიზაცია, აგრეთვე ასეთ ფორმირებაში მონაწილეობა, —

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ათ წლამდე“.

2. 8[1] მუხლში (მძიმე დანაშაულის ცნება) სიტყვების „(238-ე მუხლის მესამე და მეოთხე ნაწილები)“ შემდეგ დაემატოს სიტყვები „უკანონო შეიარაღებული ფორმირების ორგანიზაცია ან მასში მონაწილეობა (მუხლი 238[1])“.

3. 44-ე მუხლის (განსაკუთრებით საშიში რეციდივისტი) პირველი ნაწილის მეორე პუნქტში სიტყვების „(238-ე მუხლის მესამე და მეოთხე ნაწილები)“ შემდეგ დაემატოს სიტყვები „უკანონო შეიარაღებული ფორმირების ორგანიზაცია ან მასში მონაწილეობა (მუხლი 238[1])“.

4. 54[1] მუხლს (სასჯელისაგან ვადამდე პირობით გათავისუფლების და სასჯელის უფრო მსუბუქი სასჯელით შეცვლის გამოუყენებლობა) პირველი ნაწილის მესამე პუნქტში სიტყვების „(238-ე მუხლის მესამე და მეოთხე ნაწილები)“ შემდეგ დაემატოს სიტყვები „უკანონო შეიარაღებული ფორმირების ორგანიზაცია

ახ მასში მონაწილეობა (მუხლი 238[1])“.

II. ეს კანონი ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე —
სახელმწიფოს მეთაური **ედუარდ შევარდნაძე.**

საქართველოს პარლამენტის
სპიკერი **ვახტანგ გოგუაძე.**

თბილისი, 1993 წლის 17 მარტი.

საქართველოს პარლამენტის დადგენილება

54 საქართველოს პარლამენტსა და რუსეთის ფედერაციული რესპუბლიკის უზენაეს საბჭოს შორის თანამშრომლობის ხელშემწყობი საპარლამენტო ჯგუფის შექმნის შესახებ

საქართველოსა და რუსეთის ფედერაციულ რესპუბლიკებს შორის კეთილმეზობლური ურთიერთობის განმტკიცების, ამ ქვეყნებს შორის ეკონომიკური და კულტურული თანამშრომლობისათვის ხელშეწყობის, ამ საკითხების გადაწყვეტაში სათანადო ოპერატიულობის, კოორდინაციისა და პრაქტიკული შედეგების უზრუნველყოფისათვის, აგრეთვე იმის გათვალისწინებით, რომ რუსეთის ფედერაციული რესპუბლიკის უზენაეს საბჭოში მუშაობას შეუდგა ასეთივე საკითხებით დაინტერესებული კომისია

საქართველოს პარლამენტი **ადგენს:**

შეიქმნას საქართველოს პარლამენტსა და რუსეთის ფედერაციული რესპუბლიკის უზენაეს საბჭოს შორის თანამშრომლობის ხელშემწყობი საპარლამენტო ჯგუფი შემდეგი შემადგენლობით: ვ. ადვაძე, გ. ბარამიძე, ვ. გოცირიძე, გ. ზუმბაძე, ო. ზუხბაია, ა. იოსელიანი, კ. კიკაბიძე, ა. კობაიძე, გ. კობახიძე, რ. კუპრავა,

რ. ლიპარტელიანი, ბ. ლომსაძე, გ. ლორთქიფანიძე, გ. მამულია, ი. მელაშვილი, რ. მიმინოშვილი, ა. ნადარაია, ბ. ნაკაშიძე, ზ. ნალაიდელი, თ. პაატაშვილი, ზ. ჟვანია, მ. რივკინი, ა. ქაშაკაშვილი, ზ. შენგელია, ე. შენგელაია, ვ. ყოლბაია, დ. ჩიტლოვი, გ. წითლანაძე, რ. ხიზანიშვილი, ვ. ხომერიკი, რ. ჯაფარიძე.

საქართველოს პარლამენტის სპიკერი ვახტანგ გოგუაძე.

თბილისი, 1993 წლის 17 მარტი.

საქართველოს პარლამენტის დადგენილება

55 პარტიული სიით არჩეული გამოკლებული დეპუტატის ადგილმონაცვლის უფლებამოსილების ცნობის შესახებ

საქართველოს პარლამენტი **ადგენს:**

ცნობილ იქნეს პარტიული სიით არჩეული გამოკლებული დეპუტატის ადგილმონაცვლის გია **ჟორჟოლიანის** უფლებამოსილება.

საქართველოს პარლამენტის სპიკერი ვახტანგ გოგუაძე.

თბილისი, 1993 წლის 18 მარტი.

საქართველოს პარლამენტის დადგენილება

56 სამანდატო, საპარლამენტო ეთიკისა და პრივილეგიების კომისიის შემადგენლობაში ცვლილების შესახებ

საქართველოს პარლამენტი **ადგენს:**

პარლამენტის წევრი ალექსანდრე **გუგუნავა** არჩეულ იქნეს სამანდატო, საპარლამენტო ეთიკისა და პრივილეგიების კომისიის შემადგენლობაში.

საქართველოს პარლამენტის სპიკერის მოადგილე რუსუდან გერიძე.

თბილისი, 1993 წლის 18 მარტი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

57 საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1993 წლის 26 თებერვლის № 171 დადგენილების თაობაზე

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტმა 1993 წლის 26 თებერვლის № 171 დადგენილებით დაამტკიცა დებულება რუსეთის ფედერაციისა და ყოფილი სსრ კავშირის სხვა რესპუბლიკების და სხვა სამხედრო მოსამსახურეთა საქართველოს რესპუბლიკის შეიარაღებულ ძალებში კონტრაქტის საფუძველზე სამხედრო სამსახურის გავლის წესების შესახებ.

დებულების მე-3 პუნქტში აღნიშნულია, რომ „სამხედრო მოსამსახურეს, რომელიც სამხედრო სამსახურს გადის **საქ**ართველოს რესპუბლიკის შეიარაღებული ძალების შემადგენლობაში, მისი სურვილით შეიძლება მიენიჭოს ორმაგი მოქალაქეობა“.

აღნიშნული პუნქტი არ შეესაბამება საქართველოს რესპუბლიკის მოქმედ კანონმდებლობას და უნდა გაუქმდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

„სახელმწიფო ხელისუფლების შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის კანონის მე-17 მუხლის მე-18 პუნქტის თანახმად, საქართველოს მოქალაქედ მიღების საკითხთა გადაწყვეტა შედის პარლამენტის თავმჯდომარის — სახელმწიფოს მეთაურის კომპეტენციაში.

ამავე კანონის 22-ე მუხლის შესაბამისად, საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტი აღმასრულებელ-განმკარგულებელ საქმიანობას ეწევა, დასახელებული პუნქტი კი სცილდება მინისტრთა კაბინეტის კომპეტენციას, ვინაიდან მოქალაქეობის საკითხთა რეგულირება პარლამენტის საკანონმდებლო უფლებამოსილების სფეროს განეკუთვნება.

სახელმწიფოს ხელისუფლების შესახებ კანონის მე-7 მუხლის მე-7 პუნქტის შესაბამისად, საქართველოს პარლამენტი **ადგენს:**

1. გაუქმდეს, როგორც კანონშეუსაბამო, საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1993 წლის 26 თებერვლის № 171

დადგენილებით დამტკიცებული „რუსეთის ფედერაციის და ყოფილი სსრ კავშირის სხვა რესპუბლიკების (შემდგომში — „ყოფილ საბჭოთა ხელმწიფოების“) და სხვა სამხედრო მოსამსახურეთა საქართველოს რესპუბლიკის შეიარაღებულ ძალებში კონტრაქტის საფუძველზე სამხედრო სამსახურის გავლის წესების შესახებ“ დებულების მე-3 პუნქტი.

2. დაევალოს საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტს კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების მიღებისას ზუსტად დაიცვას მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნები.

3. დადგენილება ძალაშია მიღებისთანავე.

საქართველოს პარლამენტის სპიკერის მოადგილე რუსუდან ბერიძე.

თბილისი, 1993 წლის 18 მარტი.

საქართველოს პარლამენტის დადგენილება

58 საპარლამენტო ფრაქციის „პროგრესი — ბედნიერი საქართველო“ რეგისტრაციის გაუქმების შესახებ

საქართველოს პარლამენტი **ადგენს:**

საქართველოს პარლამენტის დროებითი რეგლამენტის 43-ე მუხლით განსაზღვრულ წევრთა რაოდენობის შემცირების გამო გაუქმდეს საპარლამენტო ფრაქციის „პროგრესი — ბედნიერი საქართველო“ რეგისტრაცია და დათხოვნილ იქნეს ამ ფრაქციის დამხმარე პერსონალი საქართველოს რესპუბლიკის შრომის კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით.

საქართველოს პარლამენტის სპიკერის მოადგილე რუსუდან ბერიძე.

თბილისი, 1993 წლის 18 მარტი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს პარლამენტის დადგენილება

59 საპარლამენტო ფრაქცია „მიწათმოქმედის“ რეგისტრაციის შესახებ

საქართველოს პარლამენტი **ადგენს:**

რეგისტრირებულ იქნეს საპარლამენტო ფრაქცია „მიწათმოქმედი“ შემდეგი შემადგენლობით: თ. ცინცაძე (თავმჯდომარე), გ. ახმეტელი, ვ. ბალაშვილი, ვ. იაკობაძე, რ. ლიპარტელიანი, მ. მანძულაშვილი, ს. მახალდიანი, ს. მეგუთნიშვილი, ს. ქარცივაძე, ა. ჩარქსელიანი, მ. ჩხენკელი, ა. ჯიბლაძე.

საქართველოს პარლამენტის სპიკერის მოადგილე რუსუდან ბერიძე.

თბილისი, 1993 წლის 18 მარტი.

საქართველოს პარლამენტის დადგენილება

60 გაერთიანებული ერების ორგანიზაციის, ევროპარლამენტის, მსოფლიოს ქვეყნების პარლამენტების, რუსეთის ფედერაციის უზენაესი საბჭოსადმი საქართველოს პარლამენტის მიმართვის შესახებ

საქართველოს პარლამენტი **ადგენს:**

მიღებულ იქნეს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის, ევროპარლამენტის, მსოფლიოს ქვეყნების პარლამენტების, რუსეთის ფედერაციის უზენაესი საბჭოსადმი საქართველოს პარლამენტის მიმართვა.

საქართველოს პარლამენტის სპიკერი ვახტანგ გოგუაძე.

თბილისი, 1993 წლის 17 მარტი.

საქართველოს პარლამენტის დადგენილება

61 **ვალერიან ადვაძის რუსეთის ფედერაციაში საქართველოს რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიან ელჩად დანიშვნის შესახებ**

საქართველოს პარლამენტი **ადგენს:**

თანხმობა მიეცეს საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფოს მეთაურს დანიშნოს ვალერიან **ადვაძე** რუსეთის ფედერაციაში საქართველოს რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიან ელჩად.

საქართველოს პარლამენტის სპიკერი ვახტანგ გოგუაძე.

ქ.ბილისი, 1993 წლის 23 მარტი.

საქართველოს პარლამენტის დადგენილება

62 **სომხეთის რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს 1993 წლის 23 თებერვლის განცხადების შესახებ**

საქართველოს პარლამენტი ადგენს:

1. ცნობად იქნეს მიღებული სომხეთის რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს 1993 წლის 23 თებერვლის განცხადება.

2. ეცნობოს სომხეთის რესპუბლიკის უზენაეს საბჭოს ამ განცხადებაში აღნიშნულ ფაქტებთან დაკავშირებით გატარებულ ღონისძიებათა შესახებ.

საქართველოს პარლამენტის სპიკერი ვახტანგ გოგუაძე.

თბილისი, 1993 წლის 23 მარტი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

63 სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისიის შემადგენლობის თაობაზე

საქართველოს პარლამენტი **ადგენს:**

დამტკიცდეს სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისიის შემდეგი შემადგენლობა:

ასლან **აბაშიძე** — საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილე, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე;

ალბერტ **აბესაძე** — თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დოცენტი;

რევაზ **ადამია** — საქართველოს პარლამენტის წევრი;

ლევან **ალექსიძე** — თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროორექტორი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი;

ვადიმ **ანასტასიადი** — გაზეთ „ვეჩერნი ტბილისის“ მთავარი რედაქტორი;

აკაკი **ასათიანი** — საქართველოს პარლამენტის წევრი;

ანდრია **აფაქიძე** — საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი;

სიმონ **აჯიაშვილი** — საქართველოს პარლამენტის წევრი;

თემურ **ბასილია** — საქართველოს პარლამენტის წევრი;

აკაკი **ბაქრაძე** — კრიტიკოსი;

შალვა **ბერიანიძე** — საქართველოს პარლამენტის წევრი;

რუსუდან **ბერიძე** — საქართველოს პარლამენტის სპიკერის მოადგილე;

იგორ **ბოგომოლოვი** — თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ერთაშორის ურთიერთობების შესწავლის ცენტრის განყოფილების გამგე;

თენგიზ **ბუაჩიძე** — საქართველოს პარლამენტის წევრი.

კონსტანტინე **გაბაშვილი** — ქ. თბილისის მერი;

ანზორ **გაბიანი** — საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლის პრობლემების სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის უფროსი, პროფესორი;

თამაზ **გამყრელიძე** — საქართველოს პარლამენტის წევრი;

ოთარ **გამყრელიძე** — საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტის განყოფილების გამგე, დოცენტი;

ალექსანდრე **გერასიმოვი** — თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზიკის ფაკულტეტის პროფესორი;

კახა **გველესიანი** —

ვახტანგ **გოგუაძე** — საქართველოს პარლამენტის სპიკერი;

მედეა **გოცირიძე** — საქართველოს რესპუბლიკის სოციალური უზრუნველყოფის, შრომისა და დასაქმების მინისტრის მოადგილე, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოცენტი;

ავთანდილ **დემეტრაშვილი** — საქართველოს სახელმწიფო მეთაურის აპარატის იურიდიული განყოფილების გამგე, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კათედრის გამგე, დოცენტი;

თამაზ **დიასამიძე** — საქართველოს პარლამენტის წევრი, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს წევრი;

გრიგოლ **ერემოვი** — თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის პროფესორი;

გიორგი **ინწკირველი** — თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი;

იასე **ზაუტაშვილი** — თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტი;

ალბერტ **თავხელიძე** — საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი;

გურამ **თევზაძე** — თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოსოფიის ისტორიის კათედრის გამგე, პროფესორი;

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლევან **თოიძე** — საქართველოს პარლამენტის დემოკრატიული აღმშენებლობისა და პოლიტოლოგიის ინსტიტუტის მთავარი მეცნიერი თანამშრომელი, პროფესორი;

ვახტანგ **თორდია** — აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე;

ჯაბა **იოსელიანი** — საქართველოს პარლამენტის წევრი;

კონსტანტინე **კემულარია** — საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის მინისტრი;

თენგიზ **კიტოვანი** — საქართველოს პარლამენტის წევრი;

ოლღა **კონსტანტინოვა** — თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დოცენტი;

რაულ **კუპრავა** — საქართველოს პარლამენტის წევრი;

დავით **კუპრეიშვილი** — საქართველს პარლამენტის წევრი;

ნიკოლოზ **ლეკიშვილი** — საქართველოს პარლამენტის წევრი;

თენგიზ **ლილუაშვილი** — საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტის განყოფილების გამგე, პროფესორი;

როინ **ლიპარტელიანი** — საქართველოს პარლამენტის წევრი;

გივი **ლომინაძე** — საქართველოს პარლამენტის წევრი;

ნოდარ **ლომოური** — საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმის დირექტორი, პროფესორი;

გრიგოლ **ლორთქიფანიძე** — საქართველოს პარლამენტის წევრი;

მარიამ **ლორთქიფანიძე** — თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის საქართველოს ისტორიის კათედრის გამგე, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, პროფესორი;

ვალერიან **ლორია** — თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის სახელმწიფოსა და სამართლის საფუძვლების კათედრის გამგე, პროფესორი;

ლევან **მამალაძე** — საქართველოს პარლამენტის წევრი;

გურამ **მამულია** — საქართველოს პარლამენტის წევრი;

ადა **მარშანია** — საქართველოს პარლამენტის წევრი;

ლორიკ **მარშანია** — აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე, აფხაზეთის ა. რ. ეროვნული ხსნის კომიტეტის თავმჯდომარე;

ეროვნული ბიბლიოთეკა

მირზა **მაშოვი** — ჟურნალისტი, საქართველოს ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის კორპორაციის რადიოს აზერბაიჯანულ გადაცემათა რედაქციის მთავარი რედაქტორი;

დავით **მელიქიშვილი** — საქართველოს პარლამენტის წევრი;

ოთარ **მელქაძე** — საქართველოს პარლამენტის წევრი;

როინ **მეტრეველი** — თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი, პროფესორი;

გია **მეფარიშვილი** — თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დოცენტი;

დავით **მუმლაძე** — საქართველოს რესპუბლიკის საინფორმაციო-სადაზვერვო სამსახურის იურიდიული განყოფილების გამგე;

ზურაბ **მურვანიძე** — საქართველოს პარლამენტის წევრი;

გურამ **მუჩაიძე** — საქართველოს პარლამენტის წევრი;

ამირან **ნადარაია** — საქართველოს პარლამენტის წევრი;

ნუგზარ **ნადარაია** — საქართველოს პარლამენტის წევრი;

გიორგი **ნადარეიშვილი** — საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტის განყოფილების გამგე, პროფესორი;

თამაზ **ნადარეიშვილი** — აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე;

შოთა **ნადირაშვილი** — საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ფსიქოლოგიის ინსტიტუტის დირექტორი, პროფესორი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი;

ნოდარ **ნათაძე** — საქართველოს პარლამენტის წევრი;

შალვა **ნათელაშვილი** — საქართველოს პარლამენტის წევრი;

ბადრი **ნაკაშიძე** — საქართველოს პარლამენტის წევრი, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს წევრი;

ზაზა **ნამორაძე** — ცენტრალური ევროპის უნივერსიტეტის (ბუდაპეშტი) სტაჟიორი;

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიხეილ **ნანეიშვილი** — საქართველოს პარლამენტის წევრი;

თევდორე **ნინიძე** — საქართველოს რესპუბლიკის გენერალური პროკურორი;

თედო **პაატაშვილი** — საქართველოს პარლამენტის წევრი;

ვლადიმერ **პაპავა** — საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკის ინსტიტუტის დირექტორი;

ზურაბ **ჟვანია** — საქართველოს პარლამენტის წევრი;

გია **ჟორჟოლიანი** — საქართველოს პარლამენტის წევრი, საქართველოს პარლამენტის კვლევითი სამსახურის ხელმძღვანელი;

თემურ **ჟორჟოლიანი** — საქართველოს პარლამენტის წევრი;

ზურაბ **რატიანი** — საქართველოს პარლამენტის წევრი, საქართველოს იურისტთა კავშირის თავმჯდომარე;

ვახტანგ **რჩეულიშვილი** — საქართველოს პარლამენტის სპიკერის მოადგილე;

ბიძინა **სავანელი** — თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დოცენტი;

ირინე **სარიშვილი** — საქართველოს პარლამენტის წევრი;

ზურაბ **სარჯველაძე** — თბილისის სულხან-საბა ორბელიანის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის პროორექტორი, პროფესორი;

თენგიზ **სიგუა** — საქართველოს პარლამენტის წევრი, საქართველოს რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრი;

ზაზა სიხარულიძე — საქართველოს პარლამენტის წევრი;

იური **ტაბუცაძე** — საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს წევრი;

გიორგი **ტყეშელიაძე** — თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის სისხლის სამართლის კათედრის გამგე, პროფესორი;

მინდია **უგრეხელიძე** — საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე;

დავით **უსუფაშვილი** — საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის აპარატის სახელმწიფო მრჩეველი;

გურამ **ფანჯიკიძე** — საქართველოს მწერალთა კავშირის თავმჯდომარე;

იაკობ **ფუტკარაძე** — საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტის განყოფილების გამგე;

ქართლოს **ღარიბაშვილი** — საქართველოს პარლამენტის წევრი;

ოთარ **ყიფშიძე** — თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის საერთაშორისო სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის სტუდენტი;

ვახტანგ **ყოლბაია** — საქართველოს პარლამენტის წევრი;

გურამ **ყორანაშვილი** — საქართველოს პარლამენტის წევრი;

რევაზ **შავიშვილი** — საქართველოს რესპუბლიკის კონტროლის პალატის თავმჯდომარე;

თეიმურაზ **შაშიაშვილი** — ქ. ქუთაისის მერი;

გივი **შაჰნაზარი** — საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფოს მეთაურის აპარატის კონსულტანტი;

ედუარდ **შევარდნაძე** — საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე — სახელმწიფოს მეთაური, სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისიის თავმჯდომარე;

ელდარ **შენგელაია** — საქართველოს პარლამენტის წევრი;

ირაკლი **შენგელაია** — საქართველოს პარლამენტის წევრი;

რომან **შენგელია** — თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის პროფესორი;

დიმიტრი **ჩიტლოვი** — საქართველოს პარლამენტის წევრი;

ლეო **ჩიქავა** — საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის დემოგრაფიისა და სოციოლოგიის კვლევის ინსტიტუტის დირექტორი, პროფესორი;

ირაკლი **ჩიქოვანი** — საქართველოს პარლამენტის აპარატის იურიდიული განყოფილების გამგე;

ლია **ცინდელიანი** — საქართველოს პარლამენტის წევრი;

ავთანდილ **ცქიტიშვილი** — საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვის მინისტრის მოადგილე;

შოთა **ძაგნიძე** — საქართველოს პარლამენტის წევრი;

ირაკლი **წერეთელი** — საქართველოს პარლამენტის წევრი;

ნიკო **ჭავჭავაძე** — საქართველოს პარლამენტის წევრი;

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლადო **ჭანტურია** — თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დოცენტი;

ოთარ **ჭილაძე** — მწერალი;

გიორგი **ჭინჭარაული** — საქართველოს პარლამენტის წევრი;

ლეო **ხაბურზანია** — საქართველოს რესპუბლიკის ეკონომიკის სამინისტროსთან არსებული ეკონომიკის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის განყოფილების გამგე, პროფესორი;

ივლიანე **ხაინდრავა** — საქართველოს პარლამენტის წევრი;

ჯონი **ხეცურიანი** — თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დოცენტი;

ვახტანგ **ხმალაძე** — საქართველოს პარლამენტის წევრი;

ბეჟან **ხუციძე** — საქართველოს პარლამენტის წევრი;

ალექსანდრე **ჯავახიშვილი** — სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის დირექციის მრჩეველი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი;

რევაზ **ჯაფარიძე** — საქართველოს პარლამენტის წევრი;

ზაურ **ჯინჯოლავა** — თბილისის ივანე ჯავხიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დოცენტი;

ოთარ **ჯიოევი** — საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ფილოსოფიის ინსტიტუტის კულტურის ფილოსოფიის განყოფილების გამგე, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი;

სერგო **ჯორბენაძე** — თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის კათედრის გამგე, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, პროფესორი.

საქართველოს პარლამენტის სპიკერი **ვახტანგ გოგუაძე.**

თბილისი, 1993 წლის 25 მარტი.

64 სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისიის უფლებამოსილებისა და მისი საქმიანობის უზრუნველყოფის თაობაზე

საქართველოს პარლამენტი **ადგენს:**

1. დამტკიცდეს სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისიის დებულება (თან ერთვის).

2. სახელმწიფო დაწესებულებებმა და ორგანიზაციებმა ხელი შეუწყონ სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისიას კონსტიტუციის მომზადებასთან დაკავშირებულ სამუშაოთა შესრულებაში.

3. სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისიას უფლება აქვს:

ა) საქართველოს სახელმწიფო ორგანიზაციებსა და დაწესებულებებს მოსთხოვოს, ხოლო სხვა ორგანიზაციებს — დაუკვეთოს მისი საქმიანობისათვის აუცილებელი ინფორმაცია, მასალები და დოკუმენტები;

ბ) კონსტიტუციის პროექტის ცალკეული ნაწილების მომზადებისა და ექსპერტიზისათვის მოიწვიოს სპეციალისტები;

გ) ჩაატაროს სამეცნიერო კონფერენციები, თათბირები და სემინარები.

4. დაევალოს საქართველოს პარლამენტის აპარატს სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისიის მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფა.

5. დაევალოს საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტს საქართველოს პარლამენტის აპარატის უფროსის წარდგინებით გადაწყვიტოს სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისიის საფინანსო და მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის საკითხები.

6. დაევალოს სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისიას 1993 წლის ივნისამდე საქართველოს პარლამენტს წარუდგინოს 1921 წლის საქართველოს კონსტიტუციის ახალი რედაქციის კონცეფცია.

საქართველოს პარლამენტის სპიკერი ვახტანგ გოგუაძე.

თბილისი, 1993 წლის 25 მარტი.

65 სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისიის

ეროვნული ბიბლიოთეკა

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

მუხლი 1

საქართველოს სრული დამოუკიდებლობის უზრუნველსაყოფად, თანამედროვე ქართული სახელმწიფოებრიობის შექმნისა და განვითარებისათვის, დემოკრატიული აღმშენებლობის პროცესის შეუქცევადობის უზრუნველყოფის მიზნით პარლამენტის მიერ შექმნილი სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისიის ამოცანაა საქართველოს ისტორიული გამოცდილების გათვალისწინებით

შეიმუშაოს საქართველოს 1921 წლის კონსტიტუციის ახალი რედაქცია და გადასცეს იგი საქართველოს პარლამენტს განსახილველად და საყოველთაო სახალხო კენჭისყრაზე (რეფერენდუმზე) გასატანად.

მუხლი 2

სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისიის თავმჯდომარეს დეპუტატთა სიითი შემადგენლობის უმრავლესობით ირჩევს და გადაირჩევს საქართველოს პარლამენტი. კენჭისყრის წესს ადგენს პარლამენტი.

სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისიის თავმჯდომარე შეიძლება იყოს მხოლოდ საქართველოს პარლამენტის წევრი.

მუხლი 3

სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისიის თავმჯდომარის წარდგინებით კომისიის სხვა წევრებს სიითი შემადგენლობის უმრავლესობით ირჩევს საქართველოს პარლამენტი. კენჭისყრის წესს ადგენს პარლამენტი.

სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისიის წევრი შეიძლება იყოს საარჩევნო უფლების მქონე ნებისმიერი პირი.

კომისიის წევრი პარლამენტმა ნებისმიერ დროს შეიძლება გამოიყვანოს კომისიის შემადგენლობიდან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მუხლი 4

სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისიის თავმჯდომარის მოადგილეებსა და კომისიის მდივანს არჩეულ წევრთა შემადგენლობიდან ირჩევს სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისია. კენჭისყრის წესს ადგენს სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისია.

თავმჯდომარის მოადგილეებისა და კომისიის მდივნის კანდიდატურებს ასახელებს სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისიის თავმჯდომარე.

კანდიდატი არჩეულად ჩაითვლება, თუ მას მხარი დაუჭირა სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისიის სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტმა.

თავმჯდომარის მოადგილეებისა და კომისიის მდივნის კომისიის შემადგენლობიდან გამოყვანის საკითხი შეუძლია დააყენოს სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისიის თავმჯდომარემ ან კომისიის ოცმა წევრმა, რომელთა შორის ნახევარზე მეტი პარლამენტის წევრი უნდა იყოს. თავმჯდომარის მოადგილე ან კომისიის მდივანი კომისიის შემადგენლობიდან გამოყვანილად ჩაითვლება, თუ ამას მხარი დაუჭირა კომისიის სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტმა.

მუხლი 6

სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისიის პირველ სხდომას იწვევს კომისიის თავმჯდომარე კომისიის არჩევიდან არა უგვიანეს ორი კვირისა.

თავის პირველ სხდომაზე კომისია ირჩევს თავმჯდომარის მოადგილეებსა და კომისიის მდივანს.

მუხლი 6

სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისიის თავმჯდომარე იწვევს და უძღვება კომისიის სხდომებს, კოორდინაციას უწევს სამუშაო ჯგუფების საქმიანობას, წევრებს შორის დავალებათა განაწილებას.

კომისიის თავმჯდომარე წარმოადგენს სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისიას პარლამენტში და სხვა ორგანოებთან ურთიერთობაში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მუხლი 7

სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისიის თავმჯდომარის მოადგილეები თავმჯდომარის დავალებით ან თავმჯდომარის მიერ თავისი უფლებამოსილების შესრულების შეუძლებლობის შემთხვევაში ასრულებენ მის მოვალეობებს, მოვალეობათა განაწილების შესაბამისად ხელმძღვანელობენ კომისიის სამუშაო ჯგუფებს და პასუხს აგებენ მათ საქმიანობაზე.

მუხლი 8

სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისიის მდივანი ამზადებს კომისიისა და სამუშაო ჯგუფების სხდომებს, განაგებს კომისიის საქმისწარმოებას, ხელმძღვანელობს კომისიის აპარატს, უზრუნველყოფს კომისიის კავშირს სახელმწიფო და საზოგადოებრივ დაწესებულებებთან, მოწვეულ სპეციალისტებთან და პარლამენტის აპარატთან.

მუხლი 9

სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისიის სხდომები იმართება თვეში ერთხელ. საჭიროების შემთხვევაში კომისიის თავმჯდომარე იწვევს რიგგარეშე სხდომებს.

მუხლი 10

სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისია უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება, თუ სხდომას ესწრება კომისიის სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი.

გადაწყვეტილება მიღებულად ჩაითვლება, თუ მას ჰხარი დაუჭირა კომისიის წევრთა სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტმა.

მუხლი 11

სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისია ანგარიშვალდებულია საქართველოს პარლამენტის წინაშე — ყოველთვიურად მოახსენებს მუშაობის მიმდინარეობის შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

66 საქართველოს მოქალაქეობის შესახებ

მოქალაქეობა ნიშნავს პირის პოლიტიკურ-სამართლებრივ კავშირს საქართველოს სახელმწიფოსთან, რაც გამოიხატება ურთიერთსანაცვლო უფლებამოვალეობათა ერთიანობით, ემყარება ადამიანის ღირსების პატივისცემას, მისი უფლებებისა და თავისუფლებების აღიარებას.

ეს კანონი საერთაშორისო სამართლისა და საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობის შესაბამისად უზრუნველყოფს საქართველოს მოქალაქის უფლებათა დაცვას როგორც ქვეყანაში, ისე მის ფარგლებს გარეთ.

თავი I

ზოგადი დებულებანი

მუხლი 1. საქართველოს მოქალაქეობა

საქართველოს რესპუბლიკაში დადგენილია ერთიანი მოქალაქეობა.

საქართველოს მოქალაქე იმავდროულად არ შეიძლება იყოს სხვა სახელმწიფოს მოქალაქე.

მუხლი 2. მოქალაქეობის უფლება

საქართველოს რესპუბლიკაში ამ კანონით დადგენილი წესით ყოველ ადამიანს აქვს საქართველოს მოქალაქეობის უფლება. არავის არ შეიძლება შეეზღუდოს მოქალაქეობის შეცვლის უფლება, გარდა ამ კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

არავის არ შეიძლება ჩამოერთვას საქართველოს მოქალაქეობა.

მუხლი 3. საქართველოს მოქალაქე

საქართველოს მოქალაქედ ჩაითვლება:

ა) პირი, რომელიც მუდმივად ცხოვრობდა საქართველოში არანაკლებ ხუთი წლისა და ცხოვრობს ამ კანონის სამოქმედოდ შემო-

ლების დღისათვის, თუ სამი თვის ვადაში წერილობით არ განაცხადებს უარს საქართველოს მოქალაქეობაზე და 4 თვის ვადაში მიიღებს საქართველოს მოქალაქეობის დამადასტურებელ დოკუმენტს;

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბ) პირი, რომელიც საქართველოს მოქალაქეობას შეიძენს ამ კანონის შესაბამისად.

მუხლი 4. საქართველოს მოქალაქეთა თანასწორობა

საქართველოს მოქალაქენი კანონის წინაშე თანასწორნი არიან წარმოშობის, სოციალური და ქონებრივი მდგომარეობის, რასობრივი და ეროვნული კუთვნილების, სქესის, განათლების, ენის, რელიგიისა და პოლიტიკური მრწამსის, საქმიანობის, საცხოვრებელი ადგილისა და სხვა გარემოებათა მიუხედავად.

მუხლი 5. საქართველოს მოქალაქეთა სამართლებრივი მდგომარეობა

საქართველოს მოქალაქეებს გარანტირებული აქვთ საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობით და საერთაშორისო სამართლით აღიარებული პოლიტიკური, სოციალურ-ეკონომიკური, აგრეთვე პირადი უფლებები და თავისუფლებები.

საქართველოს მოქალაქენი მოვალენი არიან დაიცვან საქართველოს ძირითადი კანონი და სხვა კანონები, გაუფრთხილდნენ ქვეყნის ტერიტორიის მთლიანობას, ხელი შეუწყონ მის ძლიერებას, იყვნენ საქართველოს ინტერესების ერთგულნი.

მუხლი 6. სახელმწიფოს მიერ მოქალაქეთა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვა

საქართველოს მოქალაქეთა უფლებებს, თავისუფლებებსა და კანონიერ ინტერესებს თავის ტერიტორიაზე და მის ფარგლებს გარეთ, იცავს საქართველოს რესპუბლიკა.

მუხლი 7. საქართველოს მოქალაქეობის შენარჩუნება საზღვარგარეთ მცხოვრები პირისათვის

რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ საქართველოს მოქალაქის ცხოვრება თავისთავად არ იწვევს საქართველოს მოქალაქეობის დაკარგვას.

მუხლი 8. სხვა სახელმწიფოს მოქალაქეთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობა

საქართველოს ტერიტორიაზე მყოფი სხვა სახელმწიფოს მოქალაქენი და მოქალაქეობის არმქონე პირნი მოვალენი არიან პატივი სცეს და დაიცვან საქართველოს კანონები, მათ გარანტირებული აქვთ საერთაშორისო სამართლის ნორმებითა და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებები და თავისუფლებები, მათ შორის იმის უფლება, რომ მიმართონ სასამართლოს და სხვა სახელმწიფო ორგანოებს მათი პირადი, ქონებრივი და სხვა უფლებათა დასაცავად.

საქართველოს ტერიტორიაზე მყოფ სხვა სახელმწიფოს მოქალაქეებს უფლება აქვთ დახმარებისა და დაცვისათვის მიმართონ თავისი ქვეყნის დიპლომატიურ და საკონსულო წარმომადგენლობებს.

მუხლი 9. სხვა სახელმწიფოსათვის საქართველოს მოქალაქის გადაცემის დაუშვებლობა

საქართველოს მოქალაქე არ შეიძლება გადაეცეს სხვა სახელმწიფოს.

თავი II

საქართველოს მოქალაქეობის შეძენა

მუხლი 10. საქართველოს მოქალაქეობის შეძენის საფუძვლები

საქართველოს მოქალაქეობის შეძენა ხდება:

ა) დაბადებით;

ბ) საქართველოს მოქალაქეობის მიღებით (ნატურალიზაციით);

გ) საქართველოს რესპუბლიკის საერთაშორისო ხელშეკრულებებითა და ამ კანონით გათვალისწინებული სხვა საფუძვლებით.

მუხლი 11. ბავშვის მოქალაქეობა, რომლის მშობლებიც საქართველოს მოქალაქეები არიან

ბავშვი, რომლის ორივე მშობელი მისი დაბადების მომენტისათვის საქართველოს მოქალაქეა, საქართველოს მოქალაქედ ითვლება დაბადების ადგილის მიუხედავად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მუხლი 12. ბავშვის მოქალაქეობა, რომლის ერთ-ერთი მშობელი საქართველოს მოქალაქეა

მშობლების სხვადასხვა მოქალაქეობისას, თუ ბავშვის დაბადების მომენტისათვის ერთ-ერთი მათგანი საქართველოს მოქალაქეა, ბავშვი ითვლება საქართველოს მოქალაქედ, თუ:

ა) დაიბადა საქართველოს ტერიტორიაზე;

ბ) დაიბადა საქართველოს ფარგლებს გარეთ, მაგრამ მის ერთ-ერთ მშობელს მუდმივი საცხოვრებელი ადგილი აქვს საქართველოს ტერიტორიაზე;

გ) ერთ-ერთი მშობელი მისი დაბადების მომენტისათვის (დაბადების ადგილის მიუხედავად) საქართველოს მოქალაქეა, ხოლო მეორე — მოქალაქეობის არმქონე პირი ან უცნობია.

მშობელთა სხვადასხვა მოქალაქეობისას, თუ ბავშვის დაბადების მომენტისათვის ერთ-ერთი მათგანი საქართველოს მოქალაქეა და ორივე ცხოვრობს საქართველოს ფარგლებს გარეთ: საქართველოს ფარგლებს გარეთ დაბადებული ბავშვის მოქალაქეობის საკითხი წყდება მშობელთა შეთანხმებით, მშობლების შეუთანხმებლობის შემთხვევაში — იმ ქვეყნის კანონმდებლობით, სადაც ბავშვი დაიბადა.

იმ ბავშვის მამობის დადგენის შემთხვევაში, რომლის დედა მოქალაქეობის არმქონე პირია, ხოლო მამად მიჩნეულია საქართველოს მოქალაქე, ბავშვი ხდება საქართველოს მოქალაქე დაბადების ადგილის მიუხედავად.

მუხლი 13. ბავშვის მოქალაქეობა, რომლის მშობლები მოქალაქეობის არმქონე პირები არიან

საქართველოს ტერიტორიაზე მუდმივად მცხოვრებ მოქალაქეობის არმქონე პირთა ბავშვები საქართველოს მოქალაქეები არიან, თუ ისინი დაიბადნენ საქართველოს ტერიტორიაზე.

მუხლი 14. ბავშვის მოქალაქეობა, რომლის მშობლები სხვა სახელმწიფოს მოქალაქეები არიან

საქართველოს ტერიტორიაზე დაბადებული ბავშვის მოქალაქეობის საკითხი, რომლის მშობლები სხვა სახელმწიფოს მოქალაქეები არიან, წყდება შესაბამისი ქვეყნის კანონმდებლობით.

მუხლი 15. უცნობ მშობელთა ბავშვის მოქალაქეობა

საქართველოს ტერიტორიაზე ნაპოვნი ბავშვი, რომლის ორივე მშობელი უცნობია, ითვლება საქართველოს მოქალაქედ, სანამ სხვა რამ არ დადგინდება.

მუხლი 16. ბავშვის მოქალაქეობა მშობლების მოქალაქეობის შეცვლისას

ორივე მშობლის მოქალაქეობის შეცვლა შესაბამისად იწვევს 14 წელს მიუღწეველი ბავშვის მოქალაქეობის შეცვლას.

14-დან — 18 წლამდე ბავშვის მოქალაქეობის შეცვლა შეიძლება მხოლოდ მისი თანხმობით.

მუხლი 17. ბავშვის მოქალაქეობა ერთ-ერთი მშობლის მოქალაქეობის შეცვლისას

ერთ-ერთი მშობლის მიერ საქართველოს მოქალაქეობის შეცვლისას ბავშვი ინარჩუნებს საქართველოს მოქალაქეობას, თუ იგი საქართველოს ტერიტორიაზე საცხოვრებლად რჩება.

თუ საქართველოს მოქალაქეობიდან გადის ერთ-ერთი მშობელი და 14 წელს მიუღწეველ ბავშვთან ერთად მუდმივ საცხოვრებლად მიემგზავრება საქართველოს ფარგლებს გარეთ, ბავშვი კარგავს საქართველოს მოქალაქეობას.

ერთ-ერთი მშობლის მოქალაქეობის დაკარგვა არ იწვევს ბავშვის მოქალაქეობის შეცვლას.

მუხლი 18. ბავშვის მოქალაქეობა ერთ-ერთი მშობლის მიერ საქართველს მოქალაქეობის შეძენისას

თუ ერთ-ერთი მშობელი იძენს საქართველოს მოქალაქეობას, ხოლო მეორე რჩება სხვა სახელმწიფოს მოქალაქედ, მშობელთა ერთობლივი შუამდგომლობით ბავშვი შეიძლება გახდეს საქართველოს მოქალაქე.

თუ ერთ-ერთი მშობელი იძენს საქართველოს მოქალაქეობას, ხოლო მეორე რჩება მოქალაქეობის არმქონე პირად, ბავშვი ხდება საქართველოს მოქალაქე.

მუხლი 19. სრულწლოვანი პირის მიერ მოქალაქეობის არჩევის შესაძლებლობა

მშობლების სხვადასხვა მოქალაქეობის შემთხვევაში პირი სრულწლოვანების მიღწევისას სურვილისამებრ ირჩევს ერთ-ერთი მშობლის მოქალაქეობას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მუხლი 20. ბავშვის მიერ საქართველოს მოქალაქეობის შეძენა შვილად აყვანის შემთხვევაში

ბავშვი, რომელიც სხვა სახელმწიფოს მოქალაქე ან მოქალაქეობის არმქონე პირია, თუ მას შვილად აიყვანენ საქართველოს მოქალაქეები, ხდება საქართველოს მოქალაქე.

ბავშვი, რომელიც სხვა სახელმწიფოს მოქალაქეა, საქართველოს მოქალაქე და სხვა სახელმწიფოს მოქალაქე მეუღლეების მიერ შვილად აყვანის შემთხვევაში მშვილებელთა ერთობლივი შუამდგომლობით საქართველოს მოქალაქე ხდება.

მუხლი 21. ბავშვის მოქალაქეობის შენარჩუნება შვილად აყვანის დროს

ბავშვი, რომელიც საქართველოს მოქალაქეა, უცხოელი მოქალაქეების ან საქართველოს მოქალაქისა და უცხოელი მოქალაქე მეუღლეების მიერ შვილად აყვანის შემთხვევაში ინარჩუნებს საქართველოს მოქალაქეობას. ასეთ შემთხვევაში მშვილებლების შუამდგომლობით ბავშვს საქართველოს მოქალაქეობიდან გასვლის ნება ეძლევა.

ბავშვი, რომელიც საქართველოს მოქალაქეა, თუ იგი შვილად აიყვანეს მოქალაქეობის არმქონე პირებმა ან საქართველოს მოქალაქე და მოქალაქეობის არმქონე მეუღლეებმა, ინარჩუნებს საქართველოს მოქალაქეობას.

მუხლი 22. ბავშვის მოქალაქეობა, რომელსაც დაწესებული აქვს მეურვეობა ან მზრუნველობა

ბავშვი, რომელსაც დაწესებული აქვს მეურვეობა ან მზრუნველობა, თუ მშობლები ან ერთ-ერთი მათგანი ტოვებს საქართველოს მოქალაქეობას, მეურვის ან მზრუნველის შუამდგომლობით ინარჩუნებს საქართველოს მოქალაქეობას.

მუხლი 23. არაქმედუნარიან პირთა მოქალაქეობა

არაქმედუნარიან პირთა მოქალაქეობა განისაზღვრება მეურვის მოქალაქეობის შესაბამისად.

მუხლი 24. დავა ბავშვების, არაქმედუნარიან ან შეზღუდული ქმედუნარიანობის მქონე პირთა მოქალაქეობის თაობაზე

დავა მშობლებს, მეურვეებსა ან მზრუნველებს შორის ბავშვის, არაქმედუნარიან ან შეზღუდული ქმედუნარიანობის მქონე პირთა მოქალაქეობის თაობაზე განიხილება სასამართლოს წესით ბავშვის, არაქმედუნარიან ან შეზღუდული ქმედუნარიანობის მქონე პირთა ინტერესებიდან გამომდინარე.

მუხლი 25. საქართველოს მოქალაქეობა ქორწინების ან განქორწინებისას

საქართველოს მოქალაქის ქორწინება ან განქორწინება უცხოელ მოქალაქესთან ან მოქალაქეობის არმქონე პირთან თავისთავად არ იწვევს მეუღლეთა მოქალაქეობის შეცვლას.

ერთ-ერთი მეუღლის მიერ მოქალაქეობის შეცვლა თავისთავად არ იწვევს მეორე მეუღლის მოქალაქეობის შეცვლას.

მეუღლეთა განქორწინება არ იწვევს მათი შვილების მოქალაქეობის შეცვლას.

მუხლი 26. საქართველოს მოქალაქედ მიღების პირობები

საქართველოს მოქალაქედ ამ კანონის შესაბამისად მიიღება სრულწლოვანი უცხოელი მოქალაქე ან მოქალაქეობის არმქონე პირი, რომელიც აკმაყოფილებს შემდეგ მოთხოვნებს:

ა) მუდმივად ცხოვრობს საქართველოს ტერიტორიაზე უკანასკნელი 10 წლის განმავლობაში;

ბ) დადგენილ ფარგლებში იცის ქართული ან აფხაზური ენა;

გ) დადგენილ ფარგლებში იცის საქართველოს ისტორია და კანონმდებლობა;

დ) საქართველოს რესპუბლიკაში აქვს სამუშაო ადგილი ან რაიმე უძრავი ქონება.

საქართველოს მოქალაქედ არ მიიღება ისეთი განზრახ დანაშაულისათვის ნასამართლევი პირი, რომელიც ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას სამ წელზე მეტი ვადით, თუ ნასამართლობა არა აქვს მოხსნილი ან გაქარწყლებული.

საქართველოს მოქალაქედ მიღების მსურველმა პირმა ხელი უნდა მოაწეროს საქართველოს მოქალაქის დეკლარაციას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მუხლი 27. საქართველოს მოქალაქედ მიღების განსაკუთრებული პირობები

საქართველოს სახელმწიფოს მეთაურს, გამონაკლისის სახით, უფლება აქვს ამ კანონის 26-ე მუხლის „ა“, „ბ“, „გ“ და „დ“ პუნქტებით გათვალისწინებული პირობების შეუსრულებლად მიიღოს საქართველოს მოქალაქედ პირი, თუ:

ა) კაცობრიობის და საქართველოს წინაშე აქვს განსაკუთრებული დამსახურება თავისი სამეცნიერო-საზოგადოებრივი საქმიანობით, ან აქვს პროფესია და კვალიფიკაცია, რომელიც წარმოადგენს ინტერესს საქართველოს რესპუბლიკისათვის;

ბ) მისი მიღება გამომდინარეობს სახელმწიფო ინტერესებიდან.

მუხლი 28. საქართველოს მოქალაქეზე დაქორწინებული პირის მიღება საქართველოს მოქალაქედ

პირი, რომელიც დაქორწინდება საქართველოს მოქალაქეზე და მასთან ცხოვრობს საქართველოს ტერიტორიაზე უკანასკნელი 3 წლის განმავლობაში, შეიძლება მიღებულ იქნეს საქართველოს მოქალაქედ ამ კანონის 26-ე მუხლის „ბ“ და „გ“ პუნქტებისა და ამავე მუხლის მეორე ნაწილის შესაბამისად.

მუხლი 29. საქართველოს მოქალაქეობის აღდგენა

საქართველოს მოქალაქეობა პირს შეიძლება აღუდგეს ამ კანონის შესაბამისად, თუ მოქალაქეობა მას შეუწყდა:

ა) მოქალაქეობის არამართლზომიერი დაკარგვის შედეგად;

ბ) მოქალაქეობიდან გასვლის, მშობლების არჩევანის შედეგად, თუ დაინტერესებული პირი განცხადების შეტანის დროისათვის მუდმივად ცხოვრობს საქართველოს რესპუბლიკაში და აკმაყოფილებს ამ კანონის 26-ე მუხლის „ბ“ და „გ“ პუნქტებისა და ამავე მუხლის მეორე ნაწილის მოთხოვნებს.

თავი III

საქართველოს მოქალაქეობის შეწყვეტა

მუხლი 30. საქართველოს მოქალაქეობის შეწყვეტის საფუძვლებია;

ა) საქართველოს მოქალაქეობიდან გასვლა;

ბ) საქართველოს მოქალაქეობის დაკარგვა;

ეროვნული ბიბლიოთეკა

გ) საქართველოს რესპუბლიკის საერთაშორისო ხელშეკრულებებით და ამ კანონით გათვალისწინებული სხვა შემთხვევები.

მუხლი 31. საქართველოს მოქალაქეობიდან გასვლა

საქართველოს მოქალაქეს აქვს საქართველოს მოქალაქეობიდან გასვლის უფლება. საქართველოს მოქალაქეობიდან გასვლის საკითხი წყდება ამ კანონის შესაბამისად.

საქართველოს მოქალაქეს შეიძლება უარი ეთქვას საქართველოს მოქალაქეობიდან გასვლაზე სახელმწიფოს წინაშე შეუსრულებელი მოვალეობის, სამხედრო ვალდებულების მოუხდელობის ან ქონებრივ ვალდებულებათა არსებობისას, რომლებიც დაკავშირებულია მოქალაქეთა, სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანიზაციების არსებით ინტერესებთან.

არ შეიძლება საქართველოს მოქალაქეობიდან გასვლა, თუ პირი მიცემულია სისხლის სამართლის პასუხისგებაში ან მის მიმართ არსებობს კანონიერ ძალაში შესული სასამართლო განაჩენი, რომელიც აღსრულებას ექვემდებარება.

მუხლი 32. საქართველოს მოქალაქეობის დაკარგვა

ამ კანონის შესაბამისად პირი დაკარგავს საქართველოს მოქალაქეობას, თუ:

ა) საქართველოს რესპუბლიკის კომპეტენტური ორგანოების უნებართვოდ შევა ეცხო სახელმწიფოს სამხედრო სამსახურში, პოლიციაში, იუსტიციის ორგანოებში და მმართველობის სხვა ორგანოებში ან სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებში;

ბ) მუდმივად ცხოვრობს სხვა სახელმწიფოში და არასაპატიო მიზეზით არ დადგა საკონსულო აღრიცხვაზე 2 წლის განმავლობაში;

გ) საქართველოს მოქალაქეობას შეიძენს ყალბი დოკუმენტების წარდგენის გზით;

დ) მიიღებს სხვა სახელმწიფოს მოქალაქეობას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავი IV

საქართველოს მოქალაქეობის საკითხთა განხილვისა და გადაწყვეტის წესი

მუხლი 33. საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის უფლებამოსილებანი მოქალაქეობის საკითხთა გადაწყვეტისას

საქართველოს სახელმწიფოს მეთაური უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება:

ა) უცხოელ მოქალაქეთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა საქართველოს მოქალაქედ მიღების თაობაზე;

ბ) საქართველოს მოქალაქეობის აღდგენის თაობაზე;

გ) საქართველოს მოქალაქეობიდან გასვლის თაობაზე;

დ) საქართველოს მოქალაქეობის დაკარგვის თაობაზე.

მუხლი 34. საქართველოს მოქალაქეობის საკითხებზე განცხადების შეტანა

საქართველოს მოქალაქეობის შეძენის, მოქალაქეობიდან გასვლისა და მოქალაქეობის აღდგენის შესახებ განცხადებები დაინტერესებულ პირებს შეაქვთ საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის სამინისტროში; საქართველოს ფარგლებს გარეთ მცხოვრები პირები განცხადებას საქართველოს რესპუბლიკის დიპლომატიური წარმომადგენლობების, საკონსულო დაწესებულებების მეშვეობით ან პირდაპირ უგზავნიან საქართველოს სახელმწიფოს მეთაურს.

14 წლამდე ასაკის პირთა შუამდგომლობები საქართველოს მოქალაქეობის საკითხებზე შეაქვთ მათ კანონიერ წარმომადგენლებს.

მუხლი 35. წარდგინება საქართველოს მოქალაქეობის დაკარგვის თაობაზე

წარდგინება საქართველოს მოქალაქეობის დაკარგვის თაობაზე საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის სამინისტროში შეაქვთ სასამართლოს, პროკურატურას, შინაგან საქმეთა სამინისტროს და საგარეო საქმეთა სამინისტროს. სხვა სახელმწიფოში მცხოვრებ საქართველოს მოქალაქეთა მიმართ — შესაბამის დიპლომატიურ წარმომადგენლობას ან საკონსულოს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მუხლი 36. საქართველოს მოქალაქეობის საკითხთა წინასწარი განხილვა

საქართველოს მოქალაქეობის საკითხებზე განცხადებას და წარდგინებას წინასწარ განიხილავს და მასალებს ამზადებს საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის სამინისტრო. დასკვნა მოქალაქეობის საკითხთა წინასწარი განხილვის თაობაზე მტკიცდება იუსტიციის სამინისტროს კოლეგიაზე.

მუხლი 37. საქართველოს მოქალაქეობის საკითხებზე გადაწყვეტილების მიღება

საქართველოს მოქალაქეობის შეძენის, მოქალაქეობის შეწყვეტისა და მოქალაქეობის აღდგენის შესახებ განცხადების და წარდგინების დაკმაყოფილების შემთხვევაში საქართველოს სახელმწიფოს მეთაური გამოსცემს ბრძანებულებას, ხოლო უარყოფითი გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში — განკარგულებას.

მუხლი 38. მოქალაქეობის საკითხთა განხილვისა და გადაწყვეტის ვადები

მოქალაქეობის საკითხებზე განცხადების და წარდგინების განხილვა-გადაწყვეტის ვადა არ უნდა აღემატებოდეს ერთ წელს.

მუხლი 39. საქართველოს მოქალაქეობის საკითხებზე განცხადებისა და წარდგინების განმეორებითი განხილვა

საქართველოს მოქალაქეობის შეძენის, მოქალაქეობის შეწყვეტისა და მოქალაქეობის აღდგენის შესახებ განცხადების და წარდგინების განმეორებითი განხილვა შეიძლება წინა გადაწყვეტილების მიღებიდან ერთი წლის შემდეგ.

მუხლი 40. სახელმწიფო ბაჟი

მოქალაქეობის საკითხებზე განცხადების შეტანისას განმცხადებელი იხდის სახელმწიფო ბაჟს საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის მიერ დადგენილი ოდენობითა და წესით.

მუხლი 41. დებულება მოქალაქეობის საკითხებზე განცხადების და წარდგინების განხილვის წესის შესახებ

დებულება საქართველოს მოქალაქეობის საკითხებზე განცხადების და წარდგინების განხილვის წესის თაობაზე მტკიცდება საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის ბრძანებულებით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მუხლი 42. საქართველოს მოქალაქეობის საკითხებზე გადაწყვეტილების გასაჩივრება

საქართველოს მოქალაქეობის საკითხებზე საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს რესპუბლიკის უზენაეს სასამართლოში.

მოქალაქეობის საკითხებთან დაკავშირებით განცხადების განხილვაზე დაუსაბუთებელი უარის, შუამდგომლობათა განხილვის ვადების დარღვევისა და სხვა არამართლზომიერი მოქმედებებისათვის შესაბამისი თანამდებობის პირები პასუხს აგებენ მოქმედი კანონმდებლობით.

თავი IV

დასკვნითი დებულებები

მუხლი 43. საქართველოს მოქალაქეობის დამადასტურებელი დოკუმენტები

საქართველოს მოქალაქეობა დასტურდება საქართველოს მოქალაქის პირადობის მოწმობით ან საქართველოს მოქალაქის პასპორტით.

16 წლამდე ბავშვის მოქალაქეობა დასტურდება დაბადების მოწმობით და მშობლების პასპორტით ან მოქალაქის პირადობის მოწმობით.

16 წლამდე ბავშვის მოქალაქეობა, რომლის მშობლებიც უცნობი არიან, დასტურდება დაბადების მოწმობით.

მუხლი 44. საქართველოს მოქალაქეობის დამადასტურებელი დოკუმენტების გაცემა

საქართველოს მოქალაქის პირადობის მოწმობას გასცემენ შინაგან საქმეთა სამინისტროს ორგანოები.

სხვა სახელმწიფოში მცხოვრებ საქართველოს მოქალაქეს პასპორტს აძლევს საქართველოს რესპუბლიკის დიპლომატიური წარმომადგენლობა ან საკონსულო დაწესებულება.

საქართველოს მოქალაქეობის დამადასტურებელი დოკუმენტების გაფორმებისა და გაცემის წესსა და პირობებს ადგენს საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტი.

მუხლი 45. საპატიო მიზეზით გადაცილებული ვადის აღდგენა

თუ პირმა ამ კანონის მე-3 მუხლით დადგენილ ვადაში საპატიო მიზეზით ვერ განაცხადა უარი საქართველოს მოქალაქეობაზე ან ვერ მიიღო მოქალაქეობის დამადასტურებელი დოკუმენტები, მას გადაცილებული ვადა აღუდგება კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 46. საერთაშორისო ხელშეკრულებების გამოყენება

საქართველოს მოქალაქეობის საკითხთა გადაწყვეტისას ამ კანონთან ერთად გამოიყენება საქართველოს რესპუბლიკის საერთაშორისო ხელშეკრულებები.

თუ საერთაშორისო ხელშეკრულებით, რომელშიც საქართველოს რესპუბლიკა მონაწილეობს, ამ კანონისაგან განსხვავებული წესებია დადგენილი, გამოიყენება საერთაშორისო ხელშეკრულების ნორმები.

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე —
სახელმწიფოს მეთაური **ედუარდ შევარდნაძე.**

საქართველოს პარლამენტის სპიკერი **ვახტანგ გოგუაძე.**

თბილისი, 1993 წლის 25 მარტი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს პარლამენტის დადგენილება

67 საქართველოს მოქალაქის დეკლარაციის ტექსტის შესახებ

საქართველოს მოქალაქეობის შესახებ კანონის მიღებასთან დაკავშირებით საქართველოს პარლამენტი **ადგენს:**

დამტკიცდეს საქართველოს მოქალაქის დეკლარაციის ტექსტი:

მე ———————————————————— ვხდები რა საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქე, ვაღიარებ და დავიცავ მის კონსტიტუციასა და კანონებს, ქვეყნის მთლიანობას, სახელმწიფო სუვერენიტეტსა და ავტორიტეტს, ვაღიარებ ქართულ ენას სახელმწიფო ენად, პატივს ვცემ ქართულ კულტურასა და ტრადიციებს.

საქართველოს პარლამენტის სპიკერი ვახტანგ გოგუაძე.

თბილისი, 1993 წლის 25 მარტი.

საქართველოს პარლამენტის დადგენილება

68 საქართველოს მოქალაქეობის შესახებ კანონის საბოქმედოდ შემოღების თაობაზე

საქართველოს პარლამენტი **ადგენს:**

1. საქართველოს მოქალაქეობის შესახებ კანონი ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

2. დაევალოს საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტს 1993 წლის 10 აპრილამდე შეიმუშაოს და დაამტკიცოს:

ა) დებულება „მმართველობის ადგილობრივ ორგანოებთან არსებული საქართველოს მოქალაქეობის დამდგენი დროებითი კომისიების შესახებ“.

ბ) დებულება „საქართველოს მოსახლეობის რეგისტრაციისა და პირადობის დადასტურების წესის შესახებ“.

გ) დებულება „საქართველოს მოქალაქის პასპორტის, სამსახურებრივი და დიპლომატიური პასპორტის შესახებ“.

საქართველოს პარლამენტის სპიკერი ვახტანგ გოგუაძე.

თბილისი, 1993 წლის 25 მარტი.

69 „საქართველოს რესპუბლიკისა და თურქეთის რესპუბლიკის მეგობრობის, თანამშრომლობისა და კეთილმეზობლური ურთიერთობების ხელშეკრულების“ რატიფიკაციის შესახებ

საქართველოს პარლამენტი **ადგენს:**

რატიფიცირებულ იქნეს „საქართველოს რესპუბლიკისა და თურქეთის რესპუბლიკის მეგობრობის, თანამშრომლობისა და კეთილმეზობლური ურთიერთობების ხელშეკრულება“.

საქართველოს პარლამენტის სპიკერი ვახტანგ გოგუაძე.

თბილისი, 1993 წლის 25 მარტი.

70 საქართველოს რესპუბლიკისა და თურქეთის რესპუბლიკის მეგობრობის, თანამშრომლობისა და კეთილმეზობლური ურთიერთობების

ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა

საქართველოს რესპუბლიკა და თურქეთის რესპუბლიკა, შემდგომში „მხარეებად“ წოდებულნი, რომლებიც

პატივს მიაგებენ ერთმანეთის სუვერენულ სტატუსს და ეყრდნობიან დამოუკიდებლობის, ტერიტორიული მთლიანობის, საზღვრების ურღვევობის, ერთმანეთის საშინაო საქმეებში ჩაურევლობის პრინციპებს და სურთ გააღრმაონ თანამშრომლობა,

აღასტურებენ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების, მისი მიზნების, ჰელსინკის საბოლოო აქტისა და ახალი ევროპისათვის პარიზის ქარტიის, ევროპაში უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის თათბირის სხვა დოკუმენტების ერთგულებას,

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამოთქვამენ რწმენას, რომ ორ ხალხს შორის არსებული ისტორიული და კულტურული ტრადიციების სიახლოვე და მეგობრული ურთიერთობა ხელს შეუწყობს მრავალმხრივი კეთილმეზობლური კავშირის განვითარებას,

აცხადებენ, რომ დაიცავენ მათ შორის დადებულ ხელშეკრულებებს და შეთანხმებებს დაწყებული ყარსის 1921 წლის 13 ოქტომბრის შეთანხმებით.

ხელმძღვანელობენ იმით, რომ ამ შეთანხმებით საბოლოოდ დადგინდა საზღვარი ორ სახელმწიფოს შორის,

აღნიშნული შეთანხმების დებულებებს დაიცავენ თავიანთი კანონმდებლობის, არსებული პრაქტიკის და მათი საერთაშორისო ვალდებულებების გათვალისწინებით,

შეთანხმდნენ შემდეგზე:

მუხლი 1.

მხარეები იზიარებენ იმ აზრს, რომ ორი ქვეყნის ურთიერთობას განავითარებენ საერთაშორისო ურთიერთობათა ახალი პრინციპების საფუძველზე, და შეთანხმდნენ ურთიერთნდობისა და თანამშრომლობის საფუძველზე განავითარონ და გააფართოონ ურთიერთობა პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სავაჭრო, სამეცნიერო-ტექნიკურ, სოფლის მეურნეობის, მეცნიერების, ტრანსპორტის, კულტურის, ინფორმაციის, ტურიზმის, სპორტისა და სხვა დარგებში.

მუხლი 2.

მხარეები დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ შავი ზღვის აუზის ქვეყნების თანამშრომლობას, რომლის ძირითადი პრინციპები აისახა 1992 წლის 25 ივნისს ქ. სტამბულში უმაღლეს დონეზე ხელმოწერილ დეკლარაციაში.

მხარეები ერთობლივი ძალისხმევით ეცდებიან განავითარონ აღნიშნული თანამშრომლობა, ყოველმხრივ აამაღლონ მისი სტატუსი და ეფექტიანობა; დიდ მნიშვნელობას მიანიჭებენ უთანხმოებათა პოლიტიკური საშუალებებით გადაჭრას, რეგიონული უსაფრთხოების და ნდობის სისტემის იდეის განხორციელების საქმეს.

მხარეები მჭიდროდ ითანამშრომლებენ სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებშიც,

აგრეთვე მრავალმხრივ კონფერენციებსა და ფორუმებში კავკასიასა და მსოფლიოში მიმდინარე პოზიტიური ცვლილებების ხელშეწყობისა და დაცვის მიზნით.

მუხლი 3.

ურთიერთობათა შეთანხმებული წარმართვის უზრუნველსაყოფად მხარეები პერიოდულად მოაწყობენ კონსულტაციებს ორივე მხარისათვის საინტერესო რეგიონულ და საერთაშორისო საკითხებზე.

მხარეები საგარეო საქმეთა სამინისტროების მეშვეობით შეთანხმებენ აღნიშნული კონსულტაციების დღის წესრიგს, ადგილსა და ვადებს.

მუხლი 4.

1. მხარეები, ხელმძღვანელობენ რა იმ მოსაზრებით, რომ სავაჭრო-ეკონომიკური თანამშრომლობა ორმხრივი ურთიერთობის განმსაზღვრელი ძირითადი ელემენტია, ეცდებიან სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობის მოცულობა გაზარდონ მისი პოტენციური შესაძლებლობების დონემდე, შეიმუშაონ და განახორციელონ ერთობლივ კაპიტალდაბანდებათა პროექტები.

2. მხარეები ხელს შეუწყობენ და უპირატესობას მიანიჭებენ ერთმანეთს შორის ეკონომიკური და ფინანსური ურთიერთობის განვითარებას.

3. მხარეები მჭიდრო თანამშრომლობას განავითარებენ იმ დარგებში, რომლებსაც განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს მათი მომავლისათვის, როგორიცაა:

— მრეწველობა,
— ენერგეტიკა,
— სოფლის მეურნეობა და კვების მრეწველობა,
— ტრანსპორტი და ინფრასტრუქტურა,
— ჯანდაცვა,
— კომუნიკაციები.

მუხლი 5.

მხარეები ხელს შეუწყობენ ეკონომიკის, მეცნიერებისა და ტექნიკის სფეროებში გამოცდილების გაზიარებას და ურთიერთობის განვითარებას აღნიშნულ დარგებში არსებულ შესაძლებლობათა უკეთ გამოყენებისა და გაცნობის მიზნით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მუხლი 6.

მხარეები ხელს შეუწყობენ კონტაქტების და ურთიერთობის დამყარებას სხვადასხვა საზოგადოებრივ, პროფესიულ და ტექნიკურ ორგანიზაციებს, პოლიტიკურ პარტიებსა და საქმიან წრეებს შორის, აგრეთვე გაცვლითი ვიზიტების წახალისებას აღნიშნული საზოგადოებების წარმომადგენელთა შორის და ორივე ქვეყნის ქალაქების დაძმობილებას.

მუხლი 7.

ორივე ქვეყანაში დამკვიდრებული ცხოვრების წესის უფრო სრულყოფილად გაცნობის მიზნით მხარეები ხელს შეუწყობენ მათ მოქალაქეთა პირად კონტაქტებს, განავითარებენ უშუალო თანამშრომლობას კულტურისა და ხელოვნების დარგებში.

მუხლი 8.

მხარეები ხელსაყრელ პირობებს შეუქმნიან ორ ქვეყანას შორის მათი მოქალაქეების თავისუფალ მიმოსვლას, საკონსულო ურთიერთობათა განვითარების მიზნით ხელს შეუწყობენ შესაბამისი ხელშეკრულების ხელმოწერას.

მუხლი 9.

მხარეები განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებენ თანამშრომლობის განვითარებას ტრანსპორტისა და ინფორმაციის გაცვლის სფეროში და ამ მიზნით ხელს შეუწყობენ პრესის, რადიოსა და ტელევიზიის ურთიერთკავშირის გაფართოებას.

მუხლი 10.

მხარეები, დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ რა გარემოს დაცვას, მჭიდროდ ითანამშრომლებენ გაჭუჭყიანებისაგან შავი ზღვის დაცვის საკითხში.

მუხლი 11.

ამ ხელშეკრულებით განსაზღვრული საკითხების განხორციელების მიზნით მხარეები ხელს შეუწყობენ ორი ქვეყნის პარლამენტთა თანამშრომლობას, ორი ქვეყნის სამთავრობო და არასამთავრობო ორგანოების პირდაპირი კონტაქტების დამყარებასა და თანამშრომლობას.

მუხლი 12.

მხარეები აცხადებენ, რომ აღნიშნული ხელშეკრულებიდან ვალდებულებანი არ არის მიმართული სხვა სახელმწიფოს წინააღმდეგ და არ აღვევს ორმხრივი თუ მრავალმხრივი ხელშეკრულებებით ნაკისრ ვალდებულებებს მესამე ქვეყნის მიმართ.

მუხლი 13.

მხარეები კისრულობენ ვალდებულებას საკუთარ ტერიტორიაზე არ დაუშვან ისეთ ორგანიზაციათა, დაჯგუფებათა თუ პიროვნებათა მოქმედება, რომლებიც მიზნად ისახავენ მეორე მხარის ტერიტორიული მთლიანობის ხელყოფას, კონსტიტუციური წყობის ძალადობით შეცვლას.

მუხლი 14.

ეს ხელშეკრულება დადებულია ათი წლით. იგი ავტომატურად გაგრძელდება შემდგომი ხუთი წლით, თუ რომელიმე მხარე აღნიშნული ვადის გასვლამდე სამი თვით ადრე წინასწარ წერილობით არ ამცნობს მეორე მხარეს, რომ გადაწყვიტა შეწყვიტოს ხელშეკრულების მოქმედება.

შემდეგ ხელშეკრულებებშიც, მათი მოქმედების გაუქმებასთან დაკავშირებით, კვლავაც ძალაში რჩება სამი თვით ადრე წერილობითი შეტყობინების პრინციპი; თუ ამგვარი შეტყობინება არ გაკეთდა, ხელშეკრულება კვლავაც გაგრძელებულად ჩაითვლება მომდევნო ხუთი წლით.

მუხლი 15.

აღნიშნული ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა კანონმდებლობის შესაბამისად დამტკიცების შემდეგ.

შესრულებულია და დამტკიცებულია ქ. თბილისში, 1992 წლის 30 ივლისს, ორ ეგზემპლარად, თითოეული ქართულ და თურქულ ენაზე, ამასთან ორივე ტექსტს თანაბარი ძალა აქვს.

საქართველოს რესპუბლიკის სახელით **ედუარდ შევარდნაძე.**	თურქეთის რესპუბლიკის სახელით **სულეიმან დემირელი.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს პარლამენტის დადგენილება

71 საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე მიმოქცევაში საქართველოს რესპუბლიკის კუპონების შემოღების შესახებ

საქართველოს პარლამენტი **ადგენს:**

1. მიღებულ იქნეს ცნობად საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის ინფორმაცია საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე მიმოქცევაში საქართველოს რესპუბლიკის კუპონების შემოღების შესახებ.

2. დაევალოს საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტს შესაბამისი დადგენილების მომზადებისას გაითვალისწინოს საქართველოს პარლამენტის 1993 წლის 26 მარტის დახურულ სხდომაზე გამოთქმული წინადადებები და მოსაზრებები.

საქართველოს პარლამენტის სპიკერი ვახტანგ გოგუაძე.

თბილისი, 1993 წლის 26 მარტი.

საქართველოს პარლამენტის დადგენილება

72 „საბიუჯეტო სისტემისა და უფლებების შესახებ" საქართველოს რესპუბლიკის კანონის პროექტისათვის გამარტივებული პროცედურით კენჭისყრის თაობაზე

საქართველოს პარლამენტი **ადგენს:**

„საბიუჯეტო სისტემისა და უფლებების შესახებ" საქართველოს რესპუბლიკის კანონის პროექტს კენჭი ეყაროს გამარტივებული პროცედურით.

საქართველოს პარლამენტის სპიკერი ვახტანგ გოგუაძე.

თბილისი, 1993 წლის 30 მარტი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

73 საბიუჯეტო სისტემისა და უფლებების შესახებ

კარი პირველი

ზოგადი დებულებანი

მუხლი 1. საქართველოს რესპუბლიკის კანონი საბიუჯეტო სისტემისა და უფლებების შესახებ განსაზღვრავს საქართველოს რესპუბლიკის რესპუბლიკური, ავტონომიური რესპუბლიკების რესპუბლიკური და ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულების ბიუჯეტების (შემდგომში საქართველოს რესპუბლიკის ბიუჯეტები) შედგენის, განხილვის, დამტკიცებისა და ხარჯების გამიჯვნის ძირითად პრინციპებს და საქართველოს რესპუბლიკის რესპუბლიკური, ავტონომიური რესპუბლიკების და ადგილობრივი ხელისუფლებისა და მმართველობის ორგანოების საფინანსო-საბიუჯეტო უფლებამოსილებებს.

მუხლი 2. საქართველოს რესპუბლიკის ნაერთი ბიუჯეტი საქართველოს რესპუბლიკის ფულადი სახსრების მობილიზაციისა და მისი გამოყენების ძირითადი ფინანსური გეგმაა.

საქართველოს რესპუბლიკის ბიუჯეტში თავმოყრილია ეროვნული პროდუქტისა და ეროვნული სიმდიდრის ნაწილი ფულადი სახსრების საერთო-სახელმწიფოებრივი ცენტრალიზებული ფონდების სახით, რომელიც იქმნება უპირატესად საწარმოებისა და სამეურნეო ორგანიზაციების, აგრეთვე საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე მცხოვრები მოქალაქეების, უცხოელი მოქალაქეებისა და მოქალაქეობის არმქონე პირების შემოსავლებიდან, საქართველოს რესპუბლიკის საკანონმდებლო აქტებით დადგენილი გადასახადების გადახდისა და სახსრების ნებაყოფლობითი შეტანის გზით და გამოიყენება სახელმწიფოს ეკონომიკური, სოციალური განვითარების, ქვეყნის თავდაცვისა და სხვა ღონისძიებათა დასაფინანსებლად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მუხლი 3. საქართველოს რესპუბლიკის ერთიანი საბიუჯეტო სისტემა განისაზღვრება საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო და ადმინისტრაციულ-ტერიტორიული წყობის საფუძველზე და მოიცავს საქართველოს რესპუბლიკისა და ავტონომიური რესპუბლიკების რესპუბლიკურ ბიუჯეტებსა და ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულების ბიუჯეტებს, რომლებიც ერთმანეთისაგან დამოუკიდებელი არიან.

საქართველოს რესპუბლიკის ბიუჯეტების დამოუკიდებლობას განაპირობებს ბიუჯეტის ყველა რგოლის უზრუნველყოფა საკუთარი შემოსავლითა და დადგენილი წესით დამტკიცებული ეკონომიკური ნორმატივებით განსაზღვრული შემოსავლით, რომელთა გამოყენების მიმართულებებს უშუალოდ განსაზღვრავენ საქართველოს რესპუბლიკის, ავტონომიური რესპუბლიკებისა და ადგილობრივი ხელისუფლებისა და მმართველობის ორგანოები.

სახელმწიფო ხელისუფლებისა და მმართველობის ზემდგომ ორგანოებს არა აქვთ უფლება ადმინისტრაციული წესით ჩაერიონ სახელმწიფო იერარქიის ქვემდგომი საფეხურების საბიუჯეტო უფლებებში.

ავტონომიური რესპუბლიკების და ადგილობრივი ხელისუფლებისა და მმართველობის ორგანოებს ეკისრებათ პასუხისმგებლობა რესპუბლიკის საბიუჯეტო პოლიტიკის გატარებისათვის, როგორც ავტონომიური რესპუბლიკებისა და ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულების ბიუჯეტების, ისე საქართველოს რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის შემოსავლის შესრულებისათვის. ამასთანავე ისინი დადგენილი წესით პასუხს აგებენ საქართველოს რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის კუთვნილი შემოსავლის შეჩერების ან სხვა დანიშნულებით მიმართვისათვის.

მუხლი 4. ავტონომიური რესპუბლიკებისა და ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულების ბიუჯეტების ფორმირებისათვის გადასახადებიდან ანარიცხების ეკონომიკურ ნორმატივებს ამტკიცებს საქართველოს პარლამენტი 3-5 წლის ვადით.

მუხლი 5. საქართველოს რესპუბლიკის საბიუჯეტო-საფინანსო მექანიზმის ფუნქციონირების უმთავრესი პირობაა ბიუჯეტის დაბალანსება.

მუხლი 6. საქართველოს რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის პროექტს შეიმუშავებს საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტი, ხოლო განიხილავს და ამტკიცებს საქართველოს პარლამენტი. ავტონომიური რესპუბლიკების რესპუბლიკური და ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულების ბიუჯეტების პროექტებს შეიმუშავებენ ავტონომიური რესპუბლიკებისა და ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულების მმართველობის შესაბამისი ორგანოები საკუთარი შემოსავლისა და დადგენილი წესით დამტკიცებული ეკონომიკური ნორმატივებით გადასახადებიდან განსაზღვრული შემოსავლის ფარგლებში და ამტკიცებენ ხელისუფლების შესაბამისი ორგანოები.

საქართველოს რესპუბლიკის ბიუჯეტების შედგენას, განხილვასა და შესრულებას ორგანიზაციას უწევენ შესაბამისად საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტი, ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოები და მმართველობის ადგილობრივი ორგანოები.

საქართველოს რესპუბლიკის ბიუჯეტები მტკიცდება ახალი საბიუჯეტო წლის დაწყებამდე.

მუხლი 7. საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტი საქართველოს პარლამენტს წარუდგენს:

ა) საქართველოს რესპუბლიკის ბიუჯეტების ფორმირებისათვის გადასახადებიდან ანარიცხების ეკონომიკურ ნორმატივებს (პროცენტობით) მე-4 მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად და საჭიროების შემთხვევაში ბანკის სესხების გამოყენების ლიმიტების პროექტებს;

ბ) საქართველოს რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის პროექტს, რომელიც შეიცავს შემოსავლის საერთო თანხას ძირითადი წყაროების გამოყოფით და გასავლის საერთო თანხას საბიუჯეტო ასიგნებების ძირითადი მიმართულებების მიხედვით.

მუხლი 8. საქართველოს პარლამენტი საქართველოს რესპუბლიკის ბიუჯეტის ფორმირებისათვის იღებს კანონებს გადასახადებიდან ანარიცხების ეკონომიკური ნორმატივებისა და საქართველოს რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესახებ, აგრეთვე, საჭიროების შემთხვევაში, ადგენს მმართველობის ადგილობრივი ორგანოებისათვის ბანკის გრძელვადიანი სესხის ოდენობას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს რესპუბლიკის კანონი საქართველოს რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესახებ შეიცავს შემოსავლის საერთო თანხას ძირითადი წყაროების მიხედვით და გასავლის საერთო თანხას მისი ძირითადი მიმართულებების მიხედვით.

მუხლი 9. საქართველოს რესპუბლიკის რესპუბლიკურ ბიუჯეტთან ერთად განიხილება და მტკიცდება მოსახლეობის სოციალური დაცვისა და სხვა მიზნობრივი სახელმწიფო ფონდები მათი შემოსავლისა და გასავლის სახეობათა მიხედვით.

მუხლი 10. წლის განმავლობაში შემოსავლისა და ხარჯების დაწესებული დონიდან გადახრების შემთხვევას (გარდა ამ კანონის მე-16 მუხლით გათვალისწინებული ცვლილებებისა), რომელიც მოითხოვს დამატებით ფინანსურ რესურსებს, განიხილავს საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტი.

საქართველოს რესპუბლიკის ისეთი საკანონმდებლო აქტების მიღების შემთხვევაში, რომლებიც ზრდის ავტონომიური რესპუბლიკებისა და ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულების ბიუჯეტების ხარჯებს ან ამცირებს მათ შემოსავალს, ამ ბიუჯეტებს საათანადო სახსრები უნაზღაურდებათ საქართველოს რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტიდან, ამ ბიუჯეტების ხარჯების შემცირების ან შემოსავლების გაზრდის შემთხვევაში კი შესაბამისი სახსრები გადაეცემა საქართველოს რესპუბლიკის რესპუბლიკურ ბიუჯეტს.

მუხლი 11. საქართველოს რესპუბლიკის ბიუჯეტების შესრულების ანგარიშებს ამტკიცებენ ხელისუფლების შესაბამისი ორგანოები.

მუხლი 12. საქართველოს რესპუბლიკის ბიუჯეტების შესრულებაში ხელისუფლებისა და მმართველობის შესაბამის ორგანოებს უსასყიდლოდ ემსახურებიან საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული ბანკი და მისი დავალებით სხვა ბანკები.

მუხლი 13. საქართველოს რესპუბლიკაში საფინანსო (საბიუჯეტო) წელი წესდება 12 თვით (კალენდარული წლის 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით). საანგარიშო წელი მოიცავს საფინანსო წელს პლუს თხუთმეტდღიანი საშელავათო პერიოდი. ამ ხნის განმავლობაში წარმოებს დასკვნითი ოპერაციები ბიუჯეტის შესრულების პროცესში ნაკისრი ვალდებულებებისათვის საბოლოო ანგარიშსწორების განსახორციელებლად.

მუხლი 14. საქართველოს რესპუბლიკის რესპუბლიკურ ბიუჯეტში გათვალისწინება ასიგნებანი სახელმწიფო ვალის დასაფარავად და მისი სარგებლობისათვის პროცენტების გადასახდელად.

მუხლი 15. საქართველოს რესპუბლიკის კანონი საქართველოს რესპუბლიკური ბიუჯეტის შესახებ, აგრეთვე საქართველოს პარლამენტის დადგენილება საქართველოს რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესრულების შესახებ ანგარიშის დამტკიცების თაობაზე ქვეყნდება საყოველთაო გაცნობისათვის. ანალოგიურად ქვეყნდება ავტონომიური რესპუბლიკების კანონები და ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების გადაწყვეტილებები შესაბამისი ბიუჯეტისა და მისი შესრულების შესახებ ანგარიშის დამტკიცების თაობაზე.

მუხლი 16. საქართველოს რესპუბლიკის ბიუჯეტების შესრულებისას დამატებით მიღებული შემოსავალი, აგრეთვე გასავალზე შემოსავლის გადამეტებული თანხა, რომელიც წლის ბოლოსათვის წარმოიშვა შემოსავლის გადაჭარბების ან გასავლის დაზოგვის შედეგად, რჩება შესაბამისად საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის, ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებისა და მმართველობის ადგილობრივი ორგანოების განკარგულებაში.

მუხლი 17. საქართველოს რესპუბლიკის ბიუჯეტში გათვალისწინებული ხარჯების გარდა იქმნება გარდამავალი საბრუნავი სახსრები, რომელთა ოდენობა განისაზღვრება ბიუჯეტების დამტკიცებისას.

მუხლი 18. ბიუჯეტის გასავლის შემოსავალზე გადამეტების (დეფიციტის) შემთხვევაში საქართველოს პარლამენტი, ავტონომიური რესპუბლიკების სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი ორგანოები და ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულების ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოები იყენებენ ხარჯების სეკვესტრის მექანიზმს, ამ ღონისძიებების შემდეგ ბიუჯეტის დარჩენილი დეფიციტი დაიფარება აგრეთვე სახელმწიფო შინაგანი მომგებიანი სესხის ობლიგაციების გამოშვებითა და ბანკის სესხებით, რომლებიც ძირითადად სახელმწიფო ინვესტიციების დასაფინანსებლად გამოიყენება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მუხლი 19. საგადასახადო სისტემა რეგულირდება საქართველოს რესპუბლიკის საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით.

მუხლი 20. საქართველოს რესპუბლიკის ბიუჯეტის შესრულების კონტროლი ხორციელდება საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 21. საქართველოს რესპუბლიკაში, ან მის ცალკეულ რეგიონებში საგანგებო მდგომარეობის შემოღების შემთხვევაში საქართველოს პარლამენტს საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის წარდგენით შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება საგანგებო ბიუჯეტის შესახებ იმ ღონისძიებათა მიზნობრივი დაფინანსებისათვის, რომლებიც დაკავშირებულია საგანგებო მდგომარეობასთან.

საგანგებო ხარჯების დასაფინანსებლად დამატებით გადასახადებს, მოსაკრებლებსა და შენატანებს აწესებს საქართველოს პარლამენტი საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის წარდგენით.

კარი მეორე

საქართველოს რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტი

მუხლი 22. საქართველოს რესპუბლიკის რესპუბლიკურ ბიუჯეტში თავს იყრის ფულადი სახსრები, რომლებიც ხმარდება საერთო-რესპუბლიკური მნიშვნელობის ეკონომიკური, სოციალური, საგარეო-ეკონომიკური, ქვეყნის თავდაცვისა და სხვა ღონისძიებების, აგრეთვე სახელმწიფო მნიშვნელობის პროგრამების დაფინანსებას.

ეკონომიკის უთანაბრო განვითარების გამო და ერთიანი სოციალური პროგრამის განხორციელების მიზნით რესპუბლიკური ბიუჯეტის მეშვეობით ხორციელდება შემოსავლის გადანაწილება ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულების ბიუჯეტებს შორის.

მუხლი 23. საქართველოს რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის პროექტს ადგენს საქართველოს რესპუბლიკის ფინანსთა სამინისტრო და შესაბამისი საფინანსო წლის დაწყებამდე სამ-ნახევარი თვით ადრე წარადგენს საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტში.

მუხლი 24. საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტს საქართველოს რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის პროექტი შესაბამისი საფინანსო წლის დაწყებამდე ორ-ნახევარი თვით ადრე შეაქვს განსახილველად საქართველოს პარლამენტში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მუხლი 25. საქართველოს რესპუბლიკის კანონის პროექტი საქართველოს რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესახებ საქართველოს პარლამენტის კომისიებში განიხილება 20 დღის განმავლობაში.

საქართველოს პარლამენტში ბიუჯეტის პროექტის განხილვის ორგანიზება ევალება საფინანსო-საბიუჯეტო კომისიას.

მუხლი 26. საქართველოს პარლამენტი არა უგვიანეს 20 დღის ვადაში საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტისა და საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის მოხსენებების მოსმენისა და განხილვის შემდეგ ამტკიცებს საქართველოს რესპუბლიკის რესპუბლიკურ ბიუჯეტს ამ კანონის მე-8 მუხლით განსაზღვრული წესით.

მუხლი 27. თუ საქართველოს პარლამენტი არ მიიღებს კანონს რესპუბლიკური ბიუჯეტის შესახებ, საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტი ვალდებულია ორი კვირის ვადაში წარუდგინოს მას ამ კანონპროექტის ახალი ვარიანტი.

პარლამენტისათვის ხელმეორედ წარდგენილი ბიუჯეტის პროექტის დაუმტკიცებლობის შემთხვევაში მინისტრთა კაბინეტს უფლება აქვს მოითხოვოს ერთი კვირა ბიუჯეტის პროექტის კორექტირებისათვის.

თუ პარლამენტმა არ მიიღო ბიუჯეტი ასეთი კორექტირების შემდეგაც, დღის წესრიგში დგება მინისტრთა კაბინეტის ნდობის საკითხი. ნდობის გამოცხადების შემთხვევაში ბიუჯეტის პროექტი მიიჩნევა დამტკიცებულად.

თუ ბიუჯეტის დამტკიცება ახალი საბიუჯეტო წლის დაწყებამდე ვერ მოხერხდა, კანონის მიღებამდე ბიუჯეტის აღსრულების საფუძველია საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის შესაბამისი დადგენილება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მუხლი 28. სავალუტო ოპერაციების უზრუნველსაყოფად საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტთან იქმნება საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო სავალუტო ფონდი, რომლის შემოსავალში მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად, ჩაირიცხება უცხოური ვალუტით მიღებული შემოსავალი, სესხები, საქართველოს რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის სახსრების ხარჯზე შეძენილი უცხოური ვალუტა და სხვა შემოსავალი.

აღნიშნული ფონდი რესპუბლიკური ბიუჯეტის შემადგენელი ნაწილია და მისი სახსრები გამოიყენება სახელმწიფო საგარეო ვალის დაფარვისა და მომსახურებისათვის, რესპუბლიკური ბიუჯეტით გათვალისწინებული მიზნობრივი და სხვა ღონისძიებების დასაფინანსებლად.

მუხლი 29. რესპუბლიკური ბიუჯეტის შემოსავალში მთლიანად ჩაირიცხება:

— აქციზის გადასახადი;

— სატრანზიტო გადასახადი;

— ექსპორტ-იმპორტის გადასახადი;

— სახელმწიფო შინაგანი სესხის ობლიგაციების რეალიზაციით მიღებული შემოსავალი;

— ფულისა და ნივთების სახელმწიფო ლატარიის ბილეთების რეალიზაციით მიღებული შემოსავალი;

— სახელმწიფო მატერიალური რეზერვების რეალიზაციით და ეროვნულ ფასეულობათა ფონდის მარაგის რეალიზაციით მიღებული შემოსავალი;

— საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო სავალუტო ფონდიდან ვალუტის რეალიზაციით მიღებული შემოსავალი;

— სახელმწიფო ბანკიდან მიღებული სესხები და გაცემული სესხების დაბრუნებით მიღებული შემოსავალი;

— სხვა გადასახადები და შემოსავალი, რომლებიც საქართველოს რესპუბლიკის საკანონმდებლო და კანონქვემდებარე აქტების შესაბამისად რესპუბლიკურ ბიუჯეტში ჩარიცხვას ექვემდებარება;

გარდა ამისა, რესპუბლიკურ ბიუჯეტში ჩაირიცხება საქართველოს პარლამენტის მიერ დამტკიცებული ეკონომიკური ნორმატივებით გათვალისწინებული:

ეროვნული ბიბლიოთეკა

დამატებული ღირებულების გადასახადი,
მიწის გადასახადი,
საბაჟო გადასახადი.

მუხლი 30. საქართველოს რესპუბლიკის რესპუბლიკურ ბიუჯეტში იქმნება ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულების შემოსავლის გადანაწილების ფონდი, რომელშიც თავს იყრის მოგებიდან და საქართველოს მოქალაქეთა, უცხოელ მოქალაქეთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა საშემოსავლო გადასახადებიდან ანარიცხები საქართველოს პარლამენტის მიერ დამტკიცებული ეკონომიკური ნორმატივების შესაბამისად; აღნიშნული ფონდიდან სახსრების განაწილებას ამტკიცებს საქართველოს პარლამენტი.

მუხლი 31. რესპუბლიკური ბიუჯეტის შემოსავალი გამოიყენება ისეთი ღონისძიებების დასაფინანსებლად, როგორიცაა:

ინვესტიციები და სუბსიდიები, მეცნიერება, განათლება, კულტურა, ჯანმრთელობის დაცვა, სპორტი, ტელევიზია და რადიომაუწყებლობა, გეოლოგიურ-სადაზვერვო და გეოლოგიურ-საძიებო სამუშაოები, ტყეების მოვლა-დაცვა და გაშენება, გარემოს დაცვა, ჰიდრომელიორაციული სამუშაოები, რესპუბლიკური მნიშვნელობის გზების მშენებლობა და ექსპლუატაცია, რესპუბლიკური მნიშვნელობის სხვა პროგრამები.

— სახელმწიფოთაშორისო ერთობლივი და მიზნობრივი სახელმწიფო პროგრამები;

— საგარეო-ეკონომიკური ურთიერთობების განვითარების რესპუბლიკური ღონისძიებები;

— სახელმწიფო ხელისუფლებისა და მმართველობის რესპუბლიკური ორგანოების შენახვა;

— რესპუბლიკური დაქვემდებარების სამართალდამცავი ორგანოების შენახვა;

— ქვეყნის თავდაცვა;

— სახელმწიფო რეზერვებისა და ეროვნულ ფასეულობათა ფონდის შევსება;

— აღებული კრედიტებისა და სახელმწიფო ვალის დაფარვა და მომსახურება;

— სხვა ღონისძიებები, რომლებიც საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობის შესაბამისად ექვემდებარება რესპუბლიკური ბიუჯეტიდან დაფინანსებას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მუხლი 32. რესპუბლიკური ბიუჯეტის შემადგენლობაში იქმნება საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის სარეზერვო და სხვა მიზნობრივი ფონდები.

მუხლი 33. საქართველოს რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტი სრულდება საქართველოს რესპუბლიკის ფინანსთა სამინისტროს მიერ შედგენილი განწერის მიხედვით.

მუხლი 34. საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის მიერ დადგენილ ვადებში ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოები და მმართველობის ადგილობრივი ორგანოები შესაბამისი რეგიონების დამტკიცებულ ბიუჯეტებს და ამ ბიუჯეტების შესრულების ანგარიშებს წარუდგენენ საქართველოს რესპუბლიკის ფინანსთა სამინისტროს.

საქართველოს რესპუბლიკის ფინანსთა სამინისტრო მიღებული მასალების საფუძველზე ადგენს საქართველოს რესპუბლიკის ბიუჯეტისა და მისი შესრულების ანგარიშების ნაერთებს და წარუდგენს საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტსა და საქართველოს პარლამენტს.

კარი მესამე

ავტონომიური რესპუბლიკების რესპუბლიკური ბიუჯეტები

მუხლი 35. ავტონომიური რესპუბლიკების რესპუბლიკურ ბიუჯეტებში თავს იყრის ის ფულადი სახსრები, რომლებიც ხმარდება ავტონომიური რესპუბლიკის საერთო-რესპუბლიკური მნიშვნელობის ეკონომიკური და სოციალური ღონისძიებების, მმართველობისა და სამართალდამცავი ორგანოების შენახვის ხარჯების, აგრეთვე რესპუბლიკური მნიშვნელობის სხვა პროგრამებისა და ღონისძიებების დაფინანსებას.

ეკონომიკის არათანაბარი განვითარების გამო და ერთიანი სოციალური პროგრამების განხორციელების მიზნით ავტონომიური რესპუბლიკების რესპუბლიკური ბიუჯეტების მეშვეობით ხორციელდება შემოსავლის გადანაწილება ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულების ბიუჯეტებს შორის.

მუხლი 36. ავტონომიური რესპუბლიკების რესპუბლიკური ბიუჯეტების პროექტებს ადგენენ ავტონომიური რესპუბლიკების ფინანსთა სამინისტროები და შესაბამისი საფინანსო წლის დაწყებამდე ორ-ნახევარი თვით ადრე წარადგენენ ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებში.

მუხლი 37. ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს ავტონომიური რესპუბლიკების რესპუბლიკური ბიუჯეტის პროექტები შესაბამისი საბიუჯეტო წლის დაწყებამდე ერთ-ნახევარი თვით ადრე განსახილველად შეაქვთ ავტონომიური რესპუბლიკების უზენაეს საბჭოებში.

მუხლი 38. ავტონომიური რესპუბლიკების რესპუბლიკური ბიუჯეტების შესახებ ავტონომიური რესპუბლიკის კანონის პროექტები ავტონომიური რესპუბლიკების უზენაესი საბჭოების კომისიებში განიხილება 15 დღის განმავლობაში.

მუხლი 39. ავტონომიური რესპუბლიკების უზენაესი საბჭოები ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებისა და საფინანსო-საბიუჯეტო კომისიათა მოხსენებების მოსმენისა და განხილვის შემდეგ ამტკიცებენ ავტონომიური რესპუბლიკების რესპუბლიკურ ბიუჯეტებს ამ კანონის მე-8 მუხლით განსაზღვრული წესით.

მუხლი 40. ავტონომიური რესპუბლიკის მიერ ისეთი საკანონმდებლო აქტების მიღების შემთხვევაში, რომლებიც ზრდის მოცემული ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულების ბიუჯეტების ხარჯებს ან ამცირებს მათ შემოსავალს, ამ ბიუჯეტებს სათანადო სახსრები უნაზღაურდებათ ავტონომიური რესპუბლიკის ბიუჯეტიდან, ამ ბიუჯეტების ხარჯების შემცირების ან შემოსავლის გაზრდის შემთხვევაში კი შესაბამისი სახსრები გადაეცემა ავტონომიური რესპუბლიკის ბიუჯეტს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მუხლი 41. ავტონომიური რესპუბლიკების საბიუჯეტო სისტემა განისაზღვრება ავტონომიური რესპუბლიკების ადმინისტრაციულ-ტერიტორიული წყობის საფუძველზე. ამის შესაბამისად ავტონომიური რესპუბლიკების საბიუჯეტო სისტემა მოიცავს ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკურ და მასში შემავალი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულების ბიუჯეტებს, რომლებიც ერთმანეთისაგან დამოუკიდებელი არიან.

მუხლი 42. სავალუტო ოპერაციების უზრუნველყოფისათვის ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებთან იქმნება ავტონომიური რესპუბლიკების სახელმწიფო სავალუტო ფონდები, რომელთა შემოსავალში მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად ჩაირიცხება უცხოური ვალუტით მიღებული შემოსავალი და ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტების ხარჯზე შეძენილი უცხოური ვალუტა.

აღნიშნული ფონდების სახსრები გამოიყენება ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტით გათვალისწინებული მიზნობრივი და სხვა ღონისძიებების დასაფინანსებლად.

მუხლი 43. ავტონომიური რესპუბლიკების რესპუბლიკური ბიუჯეტების შემოსავალში ჩაირიცხება:

— საქართველოს პარლამენტის მიერ ავტონომიური რესპუბლიკებისათვის დამტკიცებული ეკონომიკური ნორმატივებიდან გამომდინარე, ავტონომიური რესპუბლიკების უზენაესი საბჭოების მიერ დამტკიცებული ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკურ ბიუჯეტში გადასახადებიდან და შემოსავლებიდან ანარიცხების ეკონომიკური ნორმატივებით განსაზღვრული შემოსავალი:

ა) დამატებული ღირებულების გადასახადი;

ბ) მიწის გადასახადი;

გ) საბაჟო გადასახადი;

დ) მოგებიდან გადასახადი;

ე) საქართველოს მოქალაქეთა, უცხოელ მოქალაქეთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა საშემოსავლო გადასახადი.

— მიღებული სესხები, აგრეთვე გაცემული სესხის დაბრუნებით მიღებული შემოსავალი;

— სხვა გადასახადები, მოსაკრებლები და სხვადასხვა არასაგადასახადო შემოსავალი საქართველოს რესპუბლიკისა და ავტონომიური რესპუბლიკების კანონმდებლობათა შესაბამისად.

მუხლი 44. ავტონომიური რესპუბლიკების რესპუბლიკურ ბიუჯეტებში იქმნება ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულების შემოსავლის გადანაწილების ფონდი, რომელშიც თავს იყრის მოგებიდან და საქართველოს მოქალაქეთა, უცხოელ მოქალაქეთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა საშემოსავლო გადასახადებიდან ანარიცხები ავტონომიური რესპუბლიკების უზენაესი საბჭოების მიერ დამტკიცებული ეკონომიკური ნორმატივების შესაბამისად; აღნიშნული ფონდიდან სახსრების განაწილებას ამტკიცებენ ავტონომიური რესპუბლიკების უზენაესი საბჭოები.

მუხლი 45. ავტონომიური რესპუბლიკების რესპუბლიკური ბიუჯეტების შემოსავალი გამოიყენება:

1. ავტონომიური რესპუბლიკების რესპუბლიკური დაქვემდებარების განათლების, მეცნიერების, კულტურის, ჯანმრთელობის დაცვის, სპორტის, სოციალური უზრუნველყოფის, აგრეთვე საბინაო-კომუნალური მეურნეობისა და მომსახურების სხვა სფეროს დაწესებულებებისა და ორგანიზაციების მიერ განხორციელებული პროგრამების, ღონისძიებების, მიზნობრივი ინვესტიციების, სუბსიდიების, აგრეთვე გარემოს დაცვისა და სხვა ხარჯების დასაფინანსებლად;

2. ავტონომიური რესპუბლიკების ხელისუფლების, მმართველობისა და სამართალდამცავი ორგანოების შესანახად;

3. საბიუჯეტო სესხის გამოსაყოფად;

4. აღებული სესხების დასაფარავად და მათი მომსახურებისათვის;

5. იმ სხვა ღონისძიებათა დასაფინანსებლად, რომლებიც მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ექვემდებარება ავტონომიური რესპუბლიკების ბიუჯეტებიდან დაფინანსებას.

მუხლი 46. ავტონომიური რესპუბლიკების ბიუჯეტების შემადგენლობაში იქმნება ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების სარეზერვო ფონდი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მუხლი 47. ავტონომიური რესპუბლიკებისა და ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულების ბიუჯეტების შემოსავლისა და გასავლის გამიჯვნას ავტონომიური რესპუბლიკების რესპუბლიკურ, საქალაქო, ქალაქის რაიონის, რაიონულ და სხვა ბიუჯეტებს შორის განსაზღვრავენ ავტონომიური რესპუბლიკების სახელმწიფო მმართველობის შესაბამისი ორგანოები მათთვის დამტკიცებული ეკონომიკური ნორმატივების ფარგლებში.

მუხლი 48. ავტონომიური რესპუბლიკების ბიუჯეტები სრულდება ავტონომიური რესპუბლიკების ფინანსთა სამინისტროების მიერ ავტონომიური რესპუბლიკების სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი ორგანოების მიერ დამტკიცებული ბიუჯეტების შესაბამისად შედგენილი განწერის მიხედვით.

მუხლი 49. ავტონომიური რესპუბლიკების ტერიტორიაზე განლაგებული მმართველობის ადგილობრივი ორგანოები შესაბამისი რეგიონების დამტკიცებულ ბიუჯეტებს და ამ ბიუჯეტების შესრულების ანგარიშებს ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების მიერ დადგენილ ვადებში წარუდგენენ ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა სამინისტროს.

კარი მეოთხე
ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულების ბიუჯეტები

მუხლი 50. ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულების ბიუჯეტები უზრუნველყოფენ ეკონომიკური და სოციალურ-კულტურული ღონისძიებების, მმართველობის და ადგილობრივი დაქვემდებარების სამართალდამცავი ორგანოების შენახვის ხარჯებისა და სხვა ღონისძიებების დაფინანსებას, რომლებსაც ახორციელებენ ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულების ხელისუფლებისა და მმართველობის ორგანოები.

მუხლი 51. ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულების მმართველობის ორგანოებთან სავალუტო ოპერაციების უზრუნველსაყოფად იქმნება სავალუტო ფონდები, რომელთა შემოსავალში მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად ჩაირიცხება უცხოური ვალუტით მიღებული შემოსავალი და შესაბამისი ბიუჯეტის ხარჯზე შეძენილი უცხოური ვალუტა.

აღნიშნული ფონდების სახსრები გამოიყენება შესაბამისი ბიუჯეტებით გათვალისწინებულ მიზნობრივ და სხვა ღონისძიებათა დასაფინანსებლად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მუხლი 52. ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულების ბიუჯეტების შემოსავალში ჩაირიცხება:

— ბუნებრივი რესურსების გადასახადი;

— აქციების, ობლიგაციებისა და სხვა ფასიანი ქაღალდების რეალიზაციიდან მიღებული შემოსავლის გადასახადი;

— სახელმწიფო ბაჟი;

— საკურორტო გადასახადი;

— ტყის გადასახადი;

— სატრანსპორტო საშუალებების მფლობელთა გადასახადი;

— ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულების მმართველობის ორგანოების მიერ ორგანიზებული და გამოშვებული ფულისა და ნივთების ლატარიის ბილეთების რეალიზაციით მიღებული შემოსავალი;

— წყლის გადასახადი;

— სხვა გადასახადები, მოსაკრებლები და სხვადასხვა არასაგადასახადო შემოსავალი საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობის შესაბამისად;

— საქართველოს რესპუბლიკის რესპუბლიკურ ბიუჯეტში გათვალისწინებული გადანაწილების ფონდიდან მიღებული სახსრები;

საქართველოს პარლამენტის მიერ დამტკიცებული ეკონომიკური ნორმატივებით:

ა) დამატებული ღირებულების გადასახადი;

ბ) შესაბამის ტერიტორიაზე განლაგებული საწარმოებისა და ორგანიზაციების, — საკუთრების ფორმის მიუხედავად — მოგებიდან გადასახადი;

გ) შესაბამის ტერიტორიაზე მომუშავე საქართველოს მოქალაქეთა, უცხოელ მოქალაქეთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა საშემოსავლო გადასახადი;

დ) მიწის გადასახადი.

მუხლი 53. ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულების ბიუჯეტების შემოსავალი გამოიყენება:

— ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულების დაქვემდებარების განათლების, მეცნიერების, კულტურის, ჯანმრთელობის დაცვის, სპორტის, სოციალური უზრუნველყოფის, აგრეთვე საბიბლიოთეკო-კომუნალური მეურნეობისა და მომსახურების სხვა სფეროს დაწესებულებებისა და ორგანიზაციების მიერ განხორციელებული პროგრამების, ღონისძიებების, მიზნობრივი ინვესტიციების, სუბსიდიების, აგრეთვე გარემოს დაცვის და სხვა ხარჯების დასაფინანსებლად;

— ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულების მმართველობისა და სამართალდამცავი ორგანოების შესანახად;

— საბიუჯეტო სესხის გამოსაყოფად;

— აღებული სესხების დასაფარავად და მათი მომსახურებისათვის;

— იმ სხვა ღონისძიებათა დასაფინანსებლად, რომლებიც მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ექვემდებარება ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულების ბიუჯეტებიდან დაფინანსებას.

მუხლი 54. ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულების ბიუჯეტების შემადგენლობაში იქმნება გაუთვალისწინებელი ხარჯების ფონდი.

მუხლი 55. ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულების ბიუჯეტების შემოსავლისა და გასავლის გამიჯვნას საქალაქო, ქალაქის რაიონის, რაიონულ და სხვა ბიუჯეტებს შორის განსაზღვრავენ ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულების მმართველობის შესაბამისი ორგანოები მათთვის დამტკიცებული ეკონომიკური ნორმატივების ფარგლებში.

მუხლი 56. ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულების ბიუჯეტების შესრულება ხდება შესაბამისი საფინანსო ორგანოების მიერ ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულებისათვის დამტკიცებული ბიუჯეტების შესაბამისად შედგენილი განწერების მიხედვით.

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე —
სახელმწიფოს მეთაური **ედუარდ შევარდნაძე.**

საქართველოს პარლამენტის სპიკერი **ვახტანგ გოგუაძე.**

თბილისი, 1993 წლის 30 მარტი.

74 საბიუჯეტო სისტემისა და უფლებების შესახებ საქართველოს რესპუბლიკის კანონის სამოქმედოდ შემოღების თაობაზე

საქართველოს პარლამენტი **ადგენს:**

1. საქართველოს რესპუბლიკის კანონი „საბიუჯეტო სისტემისა და უფლებების შესახებ" ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პარლამენტის იურიდიულმა და საფინანსო-საბიუჯეტო კომისიებმა ორი კვირის ვადაში წარმოადგინონ წინადადებები აღნიშნულ კანონთან დაკავშირებით რესპუბლიკის კანონებში ცვლილებათა შეტანის შესახებ.

2. საქართველოს რესპუბლიკის 1993 წლის მეორე და შემდგომი კვარტალებისა და 1994-1995 წლების ბიუჯეტების პროექტები შედგეს „საბიუჯეტო სისტემისა და უფლებების შესახებ" საქართველოს რესპუბლიკის კანონის შესაბამისად.

3. დაევალოს საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტს 1993 წლის აპრილის ბოლომდე საქართველოს პარლამენტს დასამტკიცებლად წარმოუდგინოს საქართველოს რესპუბლიკის რესპუბლიკური, ავტონომიური რესპუბლიკების რესპუბლიკური და ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულების 1993 წლის მეორე და შემდგომი კვარტალებისა და 1994-1995 წლების ბიუჯეტების შესადგენად ეკონომიკური ნორმატივების, აგრეთვე აუცილებლობის შემთხვევაში მმართველობის ადგილობრივი ორგანოებისათვის ბანკის გრძელვადიანი სესხების ოდენობისა და საქართველოს რესპუბლიკის 1993 წლის მეორე და შემდგომი კვარტალების რესპუბლიკური ბიუჯეტის პროექტები.

4. ეკონომიკის, სოციალური სფეროსა და სხვა ღონისძიებების დაფინანსება 1993 წლის მეორე და შემდგომი კვარტალების ბიუჯეტების დამტკიცებამდე მოხდეს 1993 წლის პირველი კვარტალის მაჩვენებლებიდან გამომდინარე.

საქართველოს პარლამენტის სპიკერი ვახტანგ გოგუაძე.

თბილისი, 1993 წლის 30 მარტი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს პარლამენტის დადგენილება

75 „სამოგილიზაციო მზადყოფნის ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის ინფორმაციის თაობაზე

საქართველოს პარლამენტი **ადგენს:**

მიღებულ იქნეს ცნობად „სამობილიზაციო მზადყოფნის ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის ინფორმაცია.

საქართველოს პარლამენტის სპიკერი ვახტანგ გოგუაძე.

თბილისი, 1993 წლის 30 მარტი.

საქართველოს პარლამენტის დადგენილება

76 აფხაზეთის საკითხთა დროებითი კომისიის შემადგენლობაში ცვლილების შესახებ

საქართველოს პარლამენტი **ადგენს:**

პარლამენტის წევრები ელდარ **შენგელაია** და ჟორა **სნხჩიანი** შეყვანილ იქნენ აფხაზეთის საკითხთა დროებითი კომისიის შემადგენლობაში.

საქართველოს პარლამენტის სპიკერი ვახტანგ გოგუაძე.

თბილისი, 1993 წლის 30 მარტი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

განყოფილება მეორე

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

77 საქართველოს რესპუბლიკაში პარლამენტის წარმომადგენლობის დებულების შესახებ

„საქართველოს პარლამენტის წევრის სტატუსის შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის კანონის მე-6 მუხლის თანახმად დამტკიცდეს საქართველოს რესპუბლიკაში პარლამენტის წარმომადგენლობის დებულება.

საქართველოს პარლამენტის სპიკერი ვახტანგ გოგუაძე.

თბილისი, 1993 წლის 2 მარტი.

78 საქართველოს რესპუბლიკაში პარლამენტის წარმომადგენლობის

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

მუხლი 1. პარლამენტის წარმომადგენლობა არის სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი ორგანოს წარმომადგენლობა, რომელიც თავის საქმიანობას ახორციელებს შესაბამისი საარჩევნო ოლქის მთელ ტერიტორიაზე.

მუხლი 2. პარლამენტის წარმომადგენლობის მუშაკებს (წამყვანი სპეციალისტი, სპეციალისტი, ტექნიკური მუშაკი) ნიშნავს საქართველოს პარლამენტის აპარატის უფროსი ამ ოლქში მაჟორიტარული წესით არჩეული დეპუტატის წარდგინებით. წარმომადგენლობა ფინანსდება ადგილობრივი ბიუჯეტიდან მისი შესაძლებლობის ფარგლებში.

მუხლი 3. პარლამენტის წარმომადგენლობის ამოცანაა უზრუნველყოს საარჩევნო ოლქში პარლამენტის წევრთა ნორმალური საქმიანობა, დაეხმაროს მათ საერთო-სახელმწიფო პოლიტიკის განხორციელების, მოქალაქეთა უფლებების დაცვის, რეგიონალური პრობლემების დამუშავების საქმეში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მუხლი 4. პარლამენტის წარმომადგენლობა ორგანიზაციას უწევს პარლამენტის წევრის მიერ მოქალაქეთა მიღებასა და ამომრჩევლებთან შეხვედრას, ხელს უწყობს პარლამენტის წევრებს ხელისუფლებისა და მმართველობის ადგილობრივ ორგანოებთან, პოლიტიკური და საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლებთან ურთიერთობის კოორდინაციაში.

მუხლი 5. პარლამენტის წარმომადგენლობა გამოითხოვს საჭირო მონაცემებს და იღებს ინფორმაციას ხელისუფლებისა და მმართველობის ადგილობრივი ორგანოებიდან წამოჭრილ პრობლემებზე, იხილავს პარლამენტის წევრის სახელზე შემოსულ კორესპონდენციას, მოქალაქეთა საჩივრებსა და განცხადებებს; ადგილებიდან რეგულარულად აწვდის ინფორმაციას პარლამენტის დაინტერესებულ წევრებს.

მუხლი 6. საქართველოს პარლამენტის წევრებს რესპუბლიკის მთელ ტერიტორიაზე შეუძლიათ თანაბრად ისარგებლონ პარლამენტის წარმომადგენლობით.

მუხლი 7. პარლამენტის წარმომადგენლობის მუშაკები არ ერევიან ხელისუფლებისა და მმართველობის ადგილობრივი ორგანოების საქმიანობაში.

მუხლი 8. პარლამენტის წარმომადგენლობის საქმიანობას კოორდინაციას უწევს ამ საარჩევნო ოლქში მაჟორიტარული წესით არჩეული საქართველოს პარლამენტის დეპუტატი.

მუხლი 9. ადგილობრივი მმართველობა პარლამენტის წარმომადგენლობას საარჩევნო ოლქის ცენტრში უზრუნველყოფს სამუშაო ოთახებით, სამეურნეო ინვენტარით, კავშირგაბმულობის საშუალებებით და საკანცელარიო ნივთებით.

მუხლი 10. პარლამენტის წარმომადგენლობის მუშაკებს აფინანსებენ ადგილობრივი ბიუჯეტიდან და მათი ხელფასის განაკვეთის განისაზღვრება შემდეგნაირად:

1. წამყვანი სპეციალისტი	—	11.900 მანეთი;
2. სპეციალისტი	—	9.350 მანეთი;
3. ტექნიკური მუშაკი, საქმისმწარმოებელი-მემანქანე	—	7.650 მანეთი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მ ი მ ა რ თ ვ ა

79 რუსეთის ფედერაციის უმაღლეს საბჭოს რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტს ბატონ ბორის ელცინს

როგორც ცნობილი გახდა 1993 წლის 6 მარტს ჩრდილოეთ ოსეთის სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესმა საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება ოსი სეპარატისტების მიერ საქართველოს ტერიტორიაზე უკანონოდ გამოცხადებული ეგრეთ წოდებული სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის ცნობის შესახებ.

მართალია, აღნიშნულ გადაწყვეტილებას საერთაშორისო სამართლის თანახმად იურიდიული ძალა არა აქვს, მაგრამ მას შეუძლია დააბრკოლოს საქართველოს ტერიტორიაზე მიმდინარე პროცესების პოლიტიკური გზით რეგულირება, რასაც საფუძველი ჩაეყარა რუსეთ-საქართველოს 1992 წლის 24 ივნისის დაგომისის შეთანხმებით და ბატონების ე. შევარდნაძის და ბ. ელცინის განცხადებით იმის თაობაზე, რომ მხარეები ცნობენ ერთმანეთის სახელმწიფო სუვერენიტეტს, ტერიტორიულ მთლიანობასა და საზღვრების ურღვეობას.

ამ ფონზე რუსეთის შემადგენლობაში მყოფი ფედერაციის სუბიექტის მცდელობა ხელყოს მეზობელი დამოუკიდებელი სახელმწიფოს ტერიტორიული მთლიანობა და რუსეთის ხელისუფლების უმაღლესი ორგანოების დუმილი ამ ფაქტთან დაკავშირებით აღიქმება, როგორც საქართველოს სახელმწიფო სუვერენიტეტის შელახვა და კავკასიაში არასტაბილურობისათვის ხელის შეწყობა.

ყოველივე ეს არა მარტო უხეშად არღვევს საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებულ პრინციპებს, არამედ ეწინააღმდეგება თვით რუსეთის ფედერალურ კანონმდებლობას და მის მიერ ნაკისრ საერთაშორისო ვალდებულებებს.

საქართველოს პარლამენტი იმედოვნებს, რომ რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტი და უმაღლესი საბჭო განახორციელებენ ეფექ-

ტიან ღონისძიებებს ამგვარ სამართალსაწინააღმდეგო ქმედებათა აღსაკვეთად, რაც ხელს შეუწყობს ორ ქვეყანას შორის კეთილმეზობლური, თანასწორუფლებიანი ურთიერთობის დამკვიდრებას. წინააღმდეგ შემთხვევაში მთელი პასუხისმგებლობა შესაძლო უარყოფით შედეგებზე რუსეთის მხარეს დაეკისრება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თბილისი, 1993 წლის 10 მარტი.

საქართველოს პარლამენტის

მ ი მ ა რ თ ვ ა

80 გაერთიანებული ერების ორგანიზაციას ევროპარლამენტს მსოფლიოს ქვეყნების პარლამენტებს რუსეთის ფედერაციის უზენაეს საბჭოს

აფხაზეთში უკანასკნელი დღეების მოვლენები ადასტურებს, რომ რუსეთი აფართოებს გამოუცხადებელი ომის მასშტაბებს საქართველოს წინააღმდეგ. რუსეთის სამხედრო თვითმფრინავებიდან და საზღვაო ხომალდებიდან იბომბება ქ. სოხუმი და მისი შემოგარენი, რის გამოც ეკვეთრად იზრდება მსხვერპლი მშვიდობიან მოსახლეობაში.

1993 წლის 16 მარტს დაიწყო აახმელეთო, საზღვაო და საჰაერო ძალების მასირებული შეტევა ქ. სოხუმზე. ამ ოპერაციის ხასიათი და მასშტაბი აშკარად მოწმობს, რომ აფხაზ სეპარატისტებს ამოფარებული რუსეთის შეიარაღებული ძალები ხსენებულ ოპერაციაში ასრულებენ გადამწყვეტ როლს, რაც ააშკარავებს რუსეთის ხელისუფლების პოლიტიკას საქართველოს რესპუბლიკის მიმართ.

აღნიშნული პოზიცია, აშკარად აგრესიული, იმთავითვე ნათელი იყო საქართველოს ხელისუფლებისათვის, რომელიც საქართველოს რესპუბლიკისა და რუსეთის ფედერაციის კეთილმეზობლური ურთიერთობის ინტერესებიდან გამომდინარე, დღემდე თავს იკავებდა ოფიციალურად მიეცა რუსეთის ხელისუფლების პოლიტიკისათვის ადეკვატური კვალიფიკაცია, რათა ამით არ შეექმნა სირთულეები საქართველო-რუსეთის ურთიერთობის მოწესრიგებისათვის.

საქართველოს პარლამენტს მიაჩნია, რომ დადგა დრო საგნებსა და მოვლენებს თავისი სახელი დაერქვას და აცხადებს, რომ საქართველოს წინააღმდეგ რუსეთის სამხედრო მოქმედებების მიზანი — პოლიტიკური მიზანია საქართველოსაგან აფხაზეთის მოწყვეტა და საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის ხელყოფა. ეს კონფლიქტი კიდევ უფრო აქტუალურს ხდის საქართველოს ტერიტორიიდან რუსეთის ჯარების გაყვანას.

საქართველოს პარლამენტი მიმართავს რუსეთის პარლამენტს, მის მთავრობას, რუსეთის დემოკრატიულ საზოგადოებრიობას გაიოვალისწინონ ის სავალალო შედეგები, რაც შეიძლება მოჰყვეს სუფერენული სახელმწიფოს მიმართ რუსეთის აგრესიულ პოლიტიკას.

საქართველოს პარლამენტი მიმართავს მსოფლიო საზოგადოებრიობას რეაგირების გარეშე არ დატოვონ რუსეთის აგრესიული ქმედება საქართველოს მიმართ და არ დაუშვან საერთაშორისო სამართლის უხეში დარღვევა იმპერიალისტური ამბიციებით შეპყრობილ პოლიტიკურ ძალთაგან. დარწმუნებული ვართ, რომ მსოფლიოს დემოკრატიული ძალები წინ აღუდგებიან „ბოროტების იმპერიის“ აღორძინებას და ამით უდიდეს საფრთხეს ააცილებენ როგორც ყოფილი საბჭოთა კავშირის ხალხებს, მათ შორის — თვით რუს ხალხს, ასევე მთელ მსოფლიოსაც.

თბილისი, 1993 წლის 17 მარტი.